# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 115 (135) | ხუთშაბათი, 13 ივნისი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

## საუბარი იაპონელ ჟურნალისტებთან

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო და ინტერვიუ მისცა თვალსაჩინო იაპონელ ჟურნალისტებს, მსოფლიოს უდიდესი საინფორმაციო სააგენტოების — იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის, ასაჰის, „ენ-ეიჩ-კეი" ტელეკომპანიის, ჟურნალ „ტოკუმას", წიგნის გამომცემლობების წარმომადგენელს იუტაკა საკაის — საქინფორმის სტუმარს.

ბატონ საკაის წიგნები, ფოტოალბომები ცნობილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ნიუ-იორკში, პარიზში, რომში, პეკინში, ხოლო სულ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისშიც წარმატებით მოეწყო მისი პერსონალური ფოტოგამოფენები.

იუტაკა საკაიმ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა პრეზიდენტს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვა უცხოელ კორესპონდენტებთან ერთად იყო რამდენიმე საარჩევნო უბანში და დარწმუნდა, რამდენ დემოკრატიულად, თავისუფლად მიმდინარეობდა არჩევნები.

იუტაკა საკაი ამზადებს საქართველოს შესახებ წიგნს, რომელშიც შევა თბილისში, სამაჩაბლოში, აჭარაში, მიწისძვრის ზონაში შეგროვილი და გაკეთებული მასალები და ფოტონახატები, შეხვედრები რესპუბლიკის ბევრ საინტერესო ადამიანთან.

საუბრისა და ცხოველი დიალოგის დროს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა ჟურნალისტის მთელ რიგ შეკითხვებს, გააცნო მას რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარება.

საქინფორმი.

## ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვედრა უცხოელ მათემატიკოსებთან

11 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა მსოფლიოს ცნობილ მათემატიკოსთა ჯგუფს. ამ ჯგუფში შედიოდნენ ბერლინის, ვარშავის, სტრეტკლაიდის, კემბრიჯის, სტენფორდის უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ნიკო მუსხელიშვილის ხსოვნისადმი პატივის მისაგებად.

სტუმრებმა მიულოცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევა, შემდეგ კი პრეზიდენტმა პასუხი გასცა შეკითხვებს. მან ისაუბრა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აგრეთვე პოლიტიკურ ვითარებაზე რუსეთში და საერთოდ სსრ კავშირში.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ხშირად უცხოელი კორესპონდენტები, ნებსით თუ უნებლიეთ, ებმებიან ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ინფორმაციულ ომში, რის მიზეზიც არის მათი არასერიოზული, ზერელე დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი. მან აღნიშნა, აგრეთვე, რომ საქართველოში არსებობს ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების დიდი პერსპექტივები, ხაზი გაუსვა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფართო კონტაქტების დამყარების აუცილებლობას.

შეხვედრის დასასრულს პროფესორმა ზიგფრიდ პრესდორფმა სტუმრების სახელით მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს საინტერესო შეხვედრისათვის და აღნიშნა, შეკითხვებზე პასუხი ნათელი და პირდაპირი იყო, ამ შეხვედრამ დამსწრენი დაარწმუნა, რომ საქართველო საბოლოოდ გათავისუფლდება და გამონახავს განვითარების დამოუკიდებელ გზებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

## პრეზიდენტის არჩევნები: პროგნოზები და რეალობა

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ჩაატარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ახლადშექმნილმა ინსტიტუტმა, ძირითადად ორ მიზანს ისახავდა: ერთი — გამოკვლევის საშუალებით მიგვეღო გარკვეული პროგნოზული ხასიათის სოციოლოგიური ინფორმაცია და მეორე — წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით კიდევ ერთხელ შეგვემოწმებინა ჩვენი კვლევის საიმედოობა და რეპრეზენტატულობა.

რაც შეეხება გამოკითხვის შედეგების პუბლიკაციას, არჩევნებამდე მისი გამოქვეყნებისაგან თავი შევიკავეთ იმ მოტივით, რომ გავლენა არ მოგვეხდინა რესპონდენტთა არჩევანზე ამა თუ იმ კანდიდატის სასარგებლოდ. ხოლო არჩევნების შემდეგ გამოქვეყნებას ის მიზანი აქვს, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გაესვას არჩევნების შედეგების კანონზომიერებას, იმას, რომ არჩევნების დროს ადგილი არ ჰქონია ამომრჩევლებზე ზემოქმედებას რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ.

გამოკითხვა წინასწარ აგებული შერჩევის მოდელის საფუძველზე ჩატარდა საქართველოს 15 რეგიონში: თბილისში, ქუთაისში, თელავში, თერჯოლაში, ზუგდიდში, ბოლნისში, დუშეთში, ხაშურში, ლანჩხუთში, ოჩამჩირეში, ქობულეთში, ხელვაჩაურში, სოხუმში, ახალციხესა და გორში. სულ გამოიკითხა 1708 რესპონდენტი — ქალაქებისა და სოფლის მცხოვრებნი.

გამოკითხულთა სოციალ-დემოგრაფიული მახასიათებლები ასეთია:

**ასაკის მიხედვით:** 18-20 წლისაა გამოკითხულთა 5 პროცენტი, 21-30 წლისაა — 24 პროცენტი, 31-40 წლისაა — 26 პროცენტი, 41-50 წლისაა — 21 პროცენტი, 51-60 წლისაა — 14 პროცენტი, 61 და მეტისაა — გამოკითხულთა 9 პროცენტი. 6 პროცენტმა ამ კითხვას არ უპასუხა.

**ეროვნების მიხედვით:** გამოკითხულთა 74 პროცენტი ქართველია, 2 პროცენტი — აფხაზი, 9 პროცენტი — სომეხი, 4 პროცენტი — რუსი, 3 პროცენტი — აზერბაიჯანელი, 3 პროცენტი — ოსი, 1 პროცენტი — ბერძენი, 1 პროცენტი — ებრაელი, 0,9 პროცენტი — უკრაინელი, 0,2 პროცენტი — ქურთი, რესპონდენტთა 1 პროცენტი სხვა ეროვნების წარმომადგენელია.

**განათლების მიხედვით:** გამოკითხულთა 19 პროცენტს აქვს არასრული საშუალო, საშუალო ზოგადი და პროფტექნიკური განათლება, 34 პროცენტს — საშუალო სპეციალური, 44 პროცენტს — უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი. 3 პროცენტს კი აქვს სამეცნიერო ხარისხი ან წოდება.

**საქმიანობის მიხედვით:** გამოკითხულთა 18 პროცენტი მუშაა, 8 პროცენტი — სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკი, 3 პროცენტი — კოოპერატორი, მცირე ბიზნესის მუშაკი, 6 პროცენტი — სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელი, 26 პროცენტი — უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი. გამოკითხულთა 7 პროცენტი — სტუდენტი ან მოსწავლეა, ამდენივე — დიასახლისი, 5 პროცენტი პენსიონერი, რომელიც არ მუშაობს, 0,7 პროცენტი — უმუშევარი, 8 პროცენტი — დასაქმებულია სხვადასხვა სფეროში.

გამოკითხულთა 65 პროცენტი ცხოვრობს რესპუბლიკის ქალაქებში.

**სარწმუნოების მიხედვით:** გამოკითხულთა 70 პროცენტი — მორწმუნე მართლმადიდებელია, 2,6 — მორწმუნე კათოლიკე, 4,5 — მორწმუნე გრიგორიანელი, 5 — მორწმუნე მაჰმადიანი, 1 — იუდაისტი, 3 — ქრისტიანი პროტესტანტი, 0,5 პროცენტმა აღნიშნა სხვა რელიგია, 6 პროცენტმა მიუთითა, რომ იგი ათეისტია, 8 პროცენტმა კი ამ კითხვას არ უპასუხა.

გამოკითხულთა 54 პროცენტი ქალია.

ანკეტის მთავარ კითხვაზე, თუ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის რომელ კანდიდატს მისცემდნენ ხმას 26 მაისს, პასუხები პროცენტულად განაწილდა შემდეგნაირად.

პასუხი მათგან, ვინც ამ კითხვას უპასუხა:

ზვიად გამსახურდია — 85,23
ირაკლი შენგელაია — 3,25
ჯემალ მიქელაძე — 1,13
ვალერიან ადვაძე — 7,87
ნოდარ ნათაძე — 1,87
თამაზ კვაჭანტირაძე — 0,65

გამოკითხულთა 1,02 პროცენტმა ამ კითხვას არ უპასუხა, იმ მოტივით, რომ ინდიფერენტულადაა განწყობილი ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენის მიმართ.

როგორც მაჩვენებელთა ურთიერთშედარება ცხადყოფს, რეალური შედეგებისაგან პროგნოზულ მაჩვენებელთა გადახრა შეადგენს: ზ. გამსახურდიას მიმართ 1,11 პროცენტულ პუნქტს, ი. შენგელაიას — 2,38, ჯ. მიქელაძის — 0,61, ვ. ადვაძის — 0,12, ნ. ნათაძის — 0,75 და თ. კვაჭანტირაძის მიმართ — 0,57 პროცენტულ პუნქტს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციოლოგიურ კვლევაში დასაშვებია ცდომილება ხუთ პროცენტამდე, გამოკითხვით დადგენილი პროგნოზი და არჩევნების რეალური შედეგები თითქმის ზუსტად დაემთხვა ერთმანეთს.

ამომრჩევლები ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისაგან უახლოეს პერიოდში ელიან შემდეგი პრობლემების გადაჭრას:

— სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება — 49 პროცენტი.
— საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევა — 22,7 პროცენტი.
— ეროვნებათშორისი ურთიერთობების მოგვარება საქართველოში — 18 პროცენტი.
— სამაჩაბლოს პრობლემის გადაჭრა და მშვიდობიანობა საქართველოში — 12,8 პროცენტი.
— მართლწესრიგის განმტკიცება და ბრძოლა დამნაშავეობასთან — 8,6 პროცენტი.
— აგრარული რეფორმის გატარება სოფლად — 5,4 პროცენტი.
— საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა — 4,1 პროცენტი.
— საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება — 4,1 პროცენტი.
— ურთიერთობის მოგვარება ოპოზიციურ ძალებთან, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა — 4,7 პროცენტი.
— დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან — 4 პროცენტი.

დანარჩენებმა აღნიშნეს სხვა პრობლემები.

როგორც გამოკითხვის მასალების ანალიზი ცხადყოფს, ყოველი მეხუთე გამოკითხული (20 პროცენტი) ახლადარჩეული პრეზიდენტისა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეებისაგან რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შემდეგ საკითხებზე ელის დამატებით ინფორმაციას:

— საქართველოს ეკონომიკის მომავალი და ხალხის სოციალური მდგომარეობის პერსპექტივა.
— საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის მიღწევის საშუალებების განმარტება.
— ეროვნებათშორისი ურთიერთობების საკითხების მოგვარების გზები.

ასეთია მოკლედ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, უფრო სრული ინფორმაცია ცალკე გამოქვეყნდება.

**პროფესორი ლეო ჩიქავა,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი;

**დოდო ყარაულაშვილი,** საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებების სოციოლოგიური კვლევის განყოფილების გამგე

## ფოტორეპორტაჟი





## რუსთავის პრეფექტი

— პრეფექტად გახდომისთანავე, პრობლემათა მთელ სპექტრს წავაწყდი, — გვიამბობს 46 წლის თეიმურაზ ჯანელიძე, განათლებით მუსიკისმცოდნე, რომელიც აქამდე პედაგოგად მუშაობდა სამუსიკო სასწავლებელში, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სულ ახლახანს რომ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს.

და მართლაც, პრეფექტს საზრუნავს რა მოაკლდება. ეს არის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებასთან, ქუჩების, ბაღების, პარკების კეთილმოწყობასთან, ქალაქის საინჟინრო კომუნიკაციებთან, სკოლებისა და საავადმყოფოების რემონტთან... და ყველა დაკავშირებულია ქალაქის უაღრესად ღარიბ ბიუჯეტთან. აი, რატომ სჭირდება მას რესპუბლიკაში ყველაზე უფრო დიდი სამრეწველო საწარმოების დახმარება, რომლებიც რუსთავშია განლაგებული. ახლა მათ მიცემული აქვთ მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობის კონკრეტული დავალება.

არავინ უნდა დარჩეს გულგრილი ეკოლოგიის, მშენებლობის, ახალგაზრდობის ცხოვრების პრობლემების მიმართ. პრეფექტურაში შემუშავებულია აგრეთვე სავაჭრო ქსელის და კულტურის ობიექტების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

**სურათებზე:** რუსთავის პრეფექტი თეიმურაზ ჯანელიძე; პრეფექტურის შესასვლელთან: სამუშაო დღის დასრულების შემდეგაც არ წყდება მტკივნეული საკითხების გარჩევა.

**იოსებ დავითაშვილის** ფოტო და ტექსტი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

---

**საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა 1991 წლის 14 ივნისს 11 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 9 საათსა და 30 წუთიდან.

## შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან

[illegible] ბილი გაცვლის თაობაზე სტუმრებს აქვთ რწმუნებანი ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ესტონეთის დეპეშათა სააგენტოს — ეტას სახელითაც. ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მაღალი შეფასება მისცა საქინფორმსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დეპეშათა სააგენტოების მისწრაფებას საკავშიროსგან დამოუკიდებელი თანამშრომლობისაკენ. მან აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უტყუარი ინფორმაციის გატანი- [illegible] იმედებს ვამყარებთ. ობიექტური, სისტემატური ინფორმაცია მთლიანად ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობის მოპოვების ერთ-ერთი ხელშემწყობი საშუალებაა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს პრეზიდენტს გულთბილი მიღებისა და საქმიანი საუბრისათვის.

შეხვედრას ესწრებოდა საქინფორმის დირექტორი არჩილ მანჯგალაძე.

საქინფორმი.

## საუბარი უზენაეს საბჭოში

იმავე დღეს ბალტიისპირელი სტუმრები მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა.

გაიმართა გულღია და საქმიანი საუბარი ოთხი დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებს შორის თანამშრომლობის გაშლისა და გაფართოების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტური ინფორმაციის გაცვლისა და ხალხთა დაახლოებისათვის.

შეხვედრაზე ბატონებმა ვიდმანტას პუტელისმა და აივარს ბაუმანისმა ილაპარაკეს ოთხ დამოუკიდებელ სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის გაფართოების დიდ მნიშვნელობაზე.

საუბარში მონაწილეობდა საქინფორმის დირექტორი არჩილ მანჯგალაძე.

საქინფორმი.

## მილოცვები

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას**

[illegible]

... მოუტანს ყველა მის მკვიდრს.

ღმერთი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი. ამინ.

**თეატრის კოლექტივის სახელით მიხეილ გრიგორიანი და კარპე მიასნიკოვი.**

**მართლმადიდებელო საქართველოს პირველო პრეზიდენტო, ქრისტესმოყვარე ბატონო ზვიად!**

**გულითადად** გილოცავთ ღვთისა და ერის მიერ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს სახელმწიფო მეთაურად დადგენას და გისურვებთ გოლიათზე ისეთსავე გამარჯვებას, როგორც ეს ღვთის სადიდებლად და მოძმეთა გადასარჩენად შეძლო წმიდა წინასწარმეტყველმა მეფე დავითმა, ხოლო საქართველოს ერთიანობის დაცვას — ისე, ვით ამისათვის ქრისტეს სახელით იღწვოდა ჯვარითა მტერთა მძლეველი წმ. მეფე ჩვენი დავით აღმაშენებელი. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ქრისტესმოყვარე მოღვაწეობის ჟამს წარსულქვამთ, ლაზარე აღსდგა — საქართველო აღსდგა! კვლავაც გფარავდეთ ღვთისმშობლის კალთა და ნინოს ჯვარი თქვენ და სრულიად საქართველოს, მრავალჟამიერ მოიხსენიოს უფალმა ღმერთმა და საქართველოს სამოციქულო ეკ- [illegible]

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას**

**ვულოცავთ** ქართველ ერს და საქართველოს მოსახლეობას საქართველოს პირველი პრეზიდენტის ინაუგურაციას!

ბატონო პრეზიდენტო, ღვთისა და ერის წინაშე დადებული ფიცი ძალას გმატებთ საიმისოდ, რომ თავისუფალ საქართველოში განახორციელოთ ჰელსინკის პრინციპები, ამ წმიდა საქმისთვის გამოიყენოთ თქვენდამი ჩვენი თავდადება.

**საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების პირველადი ორგანიზაცია**

**ბატონო ზვიად!**

**ერის** წინაშე დადებულმა ფიცმა ღვთიური მადლით განამტკიცა თქვენი ძალაუფლება, ხალხისგან მიღებულ ტვირთს ზეციური დაამატა. გილოცავთ ამ უწმინდესი ტვირთის ტარების პატივს და გისურვებთ ძალა და მოკეთე არ დაგლეოდეთ საქართველოს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე!

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრი**

---

### შიდა ქართლი

## მამულს პატრონი სჭირდება

**ცხინვალში** ოსმა სეპარატისტებმა დროებითი წარმატების შემდეგ ბრძოლის სარბიელი ყოფილი ყორნისის რაიონში გადაიტანეს და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ფრონის ხეობის ქართველობას. ოსი „ბოევიკების" თავდასხმამ სოფლებზე ავნევსა და ნულზე რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი შეიწირა.

შიდა ქართლში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შეყვანით თითქოსდა იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი ორ ხალხს შორის კონფლიქტს მოაწესრიგებდნენ, შეიცვლებოდა პოლიტიკური მდგომარეობა, მაგრამ... სეპარატისტები სამხედრო ძალების აშკარა დახმარებით განაგრძობენ ანტიქართულ მოქმედებას, რის სავალალო შედეგიცაა იქაური ქართველობა დედულეთ-მამულეთს რომ ტოვებს. მართალია, ლტოლვილებს, დედაქალაქსა და საქართველოს სხვა რაიონებში ჩასახლებულებს აქტიურ დახმარებას უწევენ, მაგრამ რაც დრო გადის, ისინი უფრო მტკივნეულად განიცდიან სახლ-კარის, მამულის დაკარგვას... იმ დღეს ფრონისხეობელთა დიდ ჯგუფს სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოების ლტოლვილთა შტაბში შევხვდი. ლტოლვილნი გულისტკივილით ლაპარაკობდნენ გარდასულ დღეებზე, უპატრონოდ მიტოვებულ სახლ-კარზე, დღევანდელობასა და მომავალზე. სამოცდაათ წელს გადაცილებულ მანდილოსანს გავესაუბრე.

— დიდი ხანია, სახლ-კარი მიატოვეთ?

— მესამე თვეა, — მიპასუხა, მერე თავსაფრის ბოლოთი თვალს მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და საუბარი ნერვულად განაგრძო. — ერთ დღეს, ჩვენს სოფელ თიღვას ოსი ექსტრემისტები დაესხნენ თავს და სოფლის ცენტრში ეკლესიის გალავანს მიგვაყენეს. დაიწყეს სროლა, ალბათ დაშინების მიზნით. მაშინ არავინ მოუკლავთ. დიდხანს ვიდექით კედელს გაკრულნი, განძრევის საშუალება არ გვქონდა. ოთხმოც წელს მიღწეულმა ნატალია სამხარაძემ ვეღარ გაძლო და დავარდა. თავს ავტომატიანი დაადგა. შეათვალიერა, მერე იქვე მდგომს, ალბათ თანამებრძოლს, ჩუმად რაღაც გადაულაპარაკა.

— რას ეფერები, თითო მოაკლი, — უთხრა ჩვენს გასაგონად. მას აღარ დაელოდა, მოხუცს მივარდა, ხელიდან ბეჭედი ისე გაგლიჯა, რომ ლამის კანი აჰყვა.

— თავს ვინ გესხმოდათ?

— ადგილობრივი და მოსული ოსები. ჩვენი სახლებიდან ძალით მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი გვებადა. თან გვეუბნებოდნენ, ქართველები აქედან დროულად უნდა წახვიდეთ, თორემ... აქ ოსეთიაო.

— ხეობის ქართველობამ იცოდით თუ არა, რომ ოსები იარაღდებოდნენ?

— ხმები დადიოდა, ოსები ფულს აგროვებენ, იარაღს ყიდულობენ და ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიანო, მაგრამ რაღაცნაირად არ გვჯეროდა. ვფიქრობდით, ჩვენი ნათესავნი და კარის მეზობლები როგორ გაგვწირავენო, მაგრამ ახლა ყველაფერი ნათელია. მათთან ურთიერთობა სულ ტყუილი ყოფილა.

ფრონისხეობელებთან საუბარში გაირკვა, რომ ბოლო ხანს ქართულ სოფლებზე თავდასხმები საგრძნობლად შემცირდა. სამხედრო ძალებიც ათასში ერთხელ თუ გამოჩნდებიან ხოლმე, მოსული ოსი „ბოევიკებიც" წავიდნენ, ალბათ ბევრი მათგანი მიხვდა, რომ სეპარატისტებს ასეთი მოქმედებით ოსი ხალხი დაღუპვისაკენ მიჰყავს, დღეს ოსური მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი. უფროსმა თაობამ ძველ მეზობლებს შერიგებაც შესთავაზა. ისევ ძველებურად ვიცხოვროთო. რამდენიმე დღის წინ ოსმა „ბოევიკებმა" ატოციდან სოფლის ნახირი გარეკეს. ბანდიტებს წინ ოსი მოსახლეობის ნაწილი ვ. ვალიევის, ყ. თიბილოვის, ვ. ცხოვრებოვის ხელმძღვანელობით წინ აღუდგა და გატაცებული პირუტყვი სოფელს დაუბრუნეს. ხოლო — ყ. ჯაგაევმა, ფ. კალაევმა, ი. ჯიკაევმა ოს ლიდერებს მოსთხოვეს შეეწყვიტათ აგრესიული მოქმედება ქართველების მიმართ და ლტოლვილნი უკან დაებრუნებინათ. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი წინააღმდეგი წავიდა — ოსეთში ქართველის ჭაჭანება არ იქნებაო.

ფრონისხეობელ ქართველებს ახლა ყველაზე მეტად მამულში დაბრუნების საკითხი აწუხებთ, რა ქნან, ამ ექსტრემალურ სიტუაციაში დაუბრუნდნენ თუ არა მამა-პაპათა სამკვიდროს?

პასუხის გაცემა ძნელია, ძალზე ძნელი, მაგრამ გულახდილად უნდა ვკითხოთ ნედლათის, ახალშენის, სუნისის, შინდარის, თიღვის, ალიმრისა და სხვა სოფლების ქართველ მოსახლეობას — რატომ არ დატოვეს სოფელი ნულელებმა და ავნეველებმა? აი, ვის უნდა მიბაძონ ფრონისპირელებმა. განა კომპაქტურად დასახლებულ, საკმაოდ მრავალრიცხოვან სოფლებს თავდაცვა არ შეუძლიათ? მაშინ რა ქნან დიდი და პატარა ლიახვის ქართულმა სოფლებმა, ოსი „ბოევიკები" ყოველდღიურად ათობით რაკეტებს და ტყვიას რომ უშენენ? ლტოლვილთა მდგომარეობაში მყოფის ბედი მართლაც ძნელია, მაგრამ მცირეწლოვანნი თუ არა, ჯანღონით სავსე მამაკაცები აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ მშობლიურ კერას. მაშ, ვინ დაიცავს მამა-პაპათა საფლავებს? მამული ვის ანაბარა მივატოვოთ? მართალია, მდგომარეობა ძნელია, მაგრამ უკან დასახევი გზა აღარ არის. მამულს პატრონი სჭირდება, თორემ ცენტრისგან ინსპირირებული ძალები აშკარად ცდილობენ მდგომარეობის დესტაბილიზაციას, ქართველთა მამულის დაპატრონებას. ამის მკაფიო მაგალითია რამდენიმე დღის წინ ცხინვალში გამართული მიტინგი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილმა პირმა, კრემლის აგენტმა ა. ჩეხოევმა მოაწყო. მან თავის მშობელ ხალხს მოუწოდა, რომ ცხინვალიდან სასწრაფოდ უნდა განდევნონ ქართველები. მათ ადგილზე უნდა ჩაასახლონ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოყვანილი ოსები.

საკითხავია, ეს დემოკრატიის რა ნიშანია?

დღევანდელ ეპოქაში ნაციზმი?

უფიქრდები ა. ჩეხოევის პოლიტიკურ ორიენტაციას, მსოფლმხედველობას და უნებურად იბადება კითხვა: ჩეხოევი სახალხო დეპუტატი? ვინ არის იგი? პასუხი მხოლოდ ერთია — ცენტრის დამქაში, რომელიც ფაშისტური პროპაგანდით დაღუპვისაკენ უბიძგებს ოს ხალხს!

დღეს ასე გულნაკლულად ვამბობთ ქართველთ მოძულე, შოვინისტ ა. ჩეხოევზე, მაგრამ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში ქართველ კომუნისტებს მიუძღვით ყველაზე დიდი ცოდვა.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ კომკავშირის აღზრდილმა ა. ჩეხოევმა მაინც ვერ გაამართლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა იმედები. ოსმა ხალხმა კატეგორიულად მოითხოვა მისი თანამდებობიდან გადაყენება, როგორც უვიცი კაცისა. ცხინვალიდან ისევ მისმა მშობელმა ხალხმა გამოაძევა კინწისკვრით. მაგრამ რა? საბჭოთა საქართველოში მას პატრონი, კეთილი პატრონები გამოუჩნდნენ, რომლებმაც ოსებისგან „დაჩაგრული ოსი ძმა და კომუნისტი" შეიფარა, მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა და სამუშაოდ ცენტრალური კომიტეტის აპარატი შესთავაზა. „დაჩაგრულმა ძმამ და მეგობარმა" ერთხანს იმუშავა და მერე კომუნისტურ საქმიანობაში დავაჟკაცებულ დეპუტატს დიდ რუსეთში — კრემლისაკენ დაულოცეს გზა... ასეთია „ჩვენი ძმის", უკვე ანტიქართული მოქმედებით სახელგანთქმული შოვინისტის, ვიწრო წრეებში ცნობილი „ტოლიკა" ჩეხოევის მოკლე ბიოგრაფია, კაცისა, რომელიც დღეს სამაჩაბლოში ქართველთა გენოციდის ავტორად ითვლება.

შენ, ქართველთა მოძულემ, ისტორიაში შაჰაბასების და მაჰმად ხანების გვერდით უკვე სამუდამოდ დაიმკვიდრე ადგილი.

რას იტყვის ისტორია, როგორ შეაფასებს ოსეთის „დიდი შვილის" ანატოლი ჩეხოევის საქციელს?

დასკვნა პატივცემული მკითხველისათვის მიგვინდვია.

**გივი ბორცვაძე,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

## ვითარება სამაჩაბლოში

**ბოლო** სამი დღის განმავლობაში ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში შედარებით სიმშვიდეა. სოფლებს შორის განახლდა სამგზავრო ავტობუსების მიმოსვლა.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი**

ინტერვიუ

# საქართველო უწინარეს ყოვლისა

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრს გივი აბდუშელიშვილს შეხვდა და ესაუბრა „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი.

**— თქვენი სავიზიტო ბარათი...**

— დავიბადე ქ. თბილისში 1940 წელს. დედაჩემი ალექსანდრა აბდუშელიშვილი, სპეციალობით მათემატიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ამჟამად პერსონალური პენსიონერია. მამაჩემი — ზურაბ ყარამანის ძე აბდუშელიშვილი, სპეციალობით ინჟინერ-გეოლოგი, 1941 წლის ივნისში გაიწვიეს ფრონტზე და 1942 წლის ზაფხულში უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ვარ ინჟინერი, დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. ვმუშაობდი ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში, მეცნიერებისა და ტექნიკის, საქსახმომარაგების კომიტეტებში, წლების მანძილზე შეთავსებით ვმუშაობდი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ხოლო 1987 წლიდან ერთდროულად ვხელმძღვანელობდი რესპუბლიკის კოოპერაციული მოძრაობის განვითარებას. მყავს ოჯახი: მეუღლე — საშუალო სკოლის პედაგოგია, ქალიშვილი ექიმია, უფროსი ვაჟი მუშაობს იუსტიციის სამინისტროში, ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი, ხოლო უმცროსი ვაჟიშვილი უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

**— ბატონო გივი, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტში, საქსახმომარაგებაში თქვენი მოღვაწეობა დაემთხვა უძრაობის წლებს. რა შეიძლება გვითხრათ ამ პერიოდზე, როგორია თქვენი დამოკიდებულება ქვეყნის ამ ერთ-ერთი მძიმე პერიოდისადმი?**

— რა თქმა უნდა, დამოკიდებულება უარყოფითია, ეს იყო საბჭოთა კავშირის მთავრობის, კომპარტიის და მათი ლიდერების დეგრადაციის და შეუქცევადი კრიზისის წლები. არ შეიძლება ასეთ სიტუაციას არ დაეჩნია უარყოფითი კვალი როგორც სულიერ, ისე საწარმოო სფეროზე, კულტურასა და ეკონომიკაზე. წარმოება პროგრესულად იწყებდა ჩამორჩენას, ოფიციალური სულიერი სფერო ვეღარ იტანდა თავისუფლად მოაზროვნე პიროვნებებს, ხალხის ცხოვრება უარესდებოდა, მძლავრობდა მიწერები, მოტყუება, სიყალბე, კორუფცია, ზნეობრიობისა და სამართლიანობის დაცემა. სამწუხაროდ, ვერც ერთ კომიტეტში მუშაობისას ვერ მივაღწიე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ძირეულ ძვრებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სადაც კი ვმუშაობდი, ახალგაზრდობის თუ [illegible] გომები. შედეგად ამისა საქმეც ზიანდებოდა, კადრების ნაწილიც ირყვნებოდა, ნაწილი კი მსხვერპლი ხდებოდა.

**— ისიც ცნობილია, რომ თქვენს წინსვლაზე უარყოფითად იმოქმედეს კომკავშირისა და პარტიული ორგანოების ყოფილმა ხელმძღვანელმა მუშაკებმა. ამის შესახებ რას გვეტყოდით?**

— ამაზე ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ. დავამატებ, რომ ვისაც შეეძლო და დადებითი პიროვნება იყო — დადებითად მექცეოდა; ხოლო ვისაც შეეძლო და უარყოფითი პიროვნება იყო — უარყოფითად მექცეოდა. ასეთი რამ ხელმძღვანელ მუშაკებსაც შეუძლიათ და სხვებსაც.

**— ხალხი თქვენ გიცნობთ, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს. როგორია ამ მოძრაობის თქვენეული შეფასება, დამოკიდებულება გამათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ, როგორ აფასებთ მის ლიდერს ბატონ ზვიად გამსახურდიას?**

— თუ გავითვალისწინებთ ჩემი ოჯახის ტრადიციებს, ჩემი სკოლასა თუ ინსტიტუტში სწავლის წლებს, ჩემი ერის წარსულს, მის სულიერ საგანძურს — ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას, ხელოვნებას, ჩვენი ანთებული ახალგაზრდების სახეებს, ერთი სიტყვით ვერც კი იტყვი... დადებითი, შეყვარებული, მისთვის თავდადებული! აი, ასეთია ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ.

ბატონ ზვიად გამსახურდიას ვაფასებ როგორც ჭეშმარიტ, ცოცხალ, ეროვნულ გმირს და ეროვნულ ლიდერს! მის მიმართ გამსჭვალული ვარ პატივისცემით, თანადგომით და ერთგულებით.

**— რას გვეტყვით ოპოზიციაზე, როგორ აფასებთ მას?**

— ოპოზიცია უნდა არსებობდეს, მხოლოდ კულტურულ ფორმებში. ფაქტობრივად მმართველ ანუ გამარჯვებულ ძალებს და ოპოზიციას ერთი და იგივე მიზანი უნდა ჰქონდეთ. ეს არის სალი ოპოზიციის პროგრამის ამოსავალი წერტილი. ოპოზიცია თავისუფალი უნდა იყოს ამბიციებისაგან, ხრიკებისაგან, არაჯანსაღი მისწრაფებებისაგან. მაშინ იგი თვითონაც დაიმსახურებს საზოგადოების ნორმალურ შეფასებას და პატივისცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიცია მხოლოდ მტრულ განწყობილებას იმსახურებს.

**— თქვენ ამავე დროს რესპუბლიკაში კოოპერატიული მოძრაობის ლიდერი ბრძანდებით და ბევრი პროგრესული ღონისძიებანი განახორციელეთ. რას გვეტყვით აღნიშნულის შესახებ?**

— კოოპერაციული ფორმა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის აუცილებელი და დამახასიათებელია ნებისმიერი ცივილიზე- [illegible] ეტყობა, საკავშირო ორგანოების ზეგავლენით საკმაოდ მძიმე დღეში აღმოჩნდნენ რესპუბლიკის კოოპერატორებიც გადასახადების, მომარაგებაში ხელოვნური სიძნელეების, კაპიტალური ფასების და სხვათა გამო; მაგრამ არც ადგილობრივი ხელისუფლება იქცეოდა ნორმალურად. უამრავი ფაქტი გვაქვს კოოპერატორებისათვის ხელის შეშლის, მათდამი არაობიექტური და, პირდაპირ რომ ვთქვათ, უსინდისო მოქცევის. დიდი იმედი მაქვს, რომ თავისუფალ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის რეალურ ვითარებაში კოოპერაცია იქნება ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სფერო და კოოპერატორები კი — დაფასებული მეწარმეები.

პირადად მე კოოპერატიულ მოძრაობაში ჩავები პირველი დღეებიდანვე, როგორც კი კოოპერაციის აღორძინების საშუალება გამოჩნდა საბჭოთა კავშირში. როგორც ვიცი, საწარმოო ტიპის კოოპერაცია საბჭოთა კავშირში აღორძინდა 1986 წლის ზაფხულში მიღებული დადგენილებების შემდეგ. კოოპერაცია რუსეთში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყო განვითარებული. საბჭოთა წლებში კი, ე. წ. „ნეპის" დროს, შემდეგ 20-იან წლებში გაანადგურეს ის პირველად, ხოლო 60-იან წლებში კი — მეორედ. სხვათა შორის, 20-იანი წლების დამლევს კოოპერაცია გაანადგურა თავის ქვეყანაში მუსოლინიმაც. 30-იან წლებში იგივე განმეორდა ფაშისტურ გერმანიაში. ეს იყო და ეს, ყველა დანარჩენ ცივილიზებულ ქვეყანაში, იქ, სადაც აფასებენ თავისუფალ მეწარმეობას, კოოპერაციის განვითარებას ხელს უწყობენ და მის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ ზომებს არ იღებენ.

ამიტომ სახელმწიფო მართვის სისტემა ყოველთვის უნდა ცდილობდეს კოოპერაციის რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენებას. სამწუხაროდ, ჩვენში ასეთი რამ ჯერჯერობით არ ხდება: ძალიან ცოტა ან სრულებით არ არსებობს კოოპერატორებზე სახელმწიფო დაკვეთის დამკვება, ე. ი. კოოპერატორთა პოტენციალი სახელმწიფოს მიერ არ გამოიყენება. კოოპერაციის მართვა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ეკონომიკური რეგულირების მეთოდებით.

**— ბევრი გვსმენია თქვენი უანგარობის შესახებ. თურმე კოოპერატორთა კავშირის თავმჯდომარედ მუშაობისას ხელფასსაც არ იღებდით.**

— მოგახსენებთ შემდეგს: მე ვიყავი გაწევრიანებული სახმომარაგებასთან არსებულ ერთ-ერთ კოოპერატივში უხასყიდლოდ; ამ პერიოდში მრავალი კოოპერატივის დაფუძნებაში მივიღე უშუალო მონაწილეობა ასეთივე პირობებით, შემდეგ ამირჩიეს საქსახმომარაგების კოოპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარედ და მოგვიანებით კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარედ. არც ერთ შემთხვევაში ხელფასი არ ამიღია. კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე დაისვა საკითხი, რომ [illegible] ის რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი ვარ. სირთულეები, სიძნელეები, ობიექტური და სუბიექტური ხასიათის, არც მაშინებს და ვერც შემაშინებს: დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობა [illegible] ტექნიკის მიღწევათა დახერგვა მიაჩნია ერთ-ერთ თავის ამოცანად.

**— რა გრძნობა გეუფლებოდათ, როცა ახალ კოლექტივში მოდიოდით?**

— იმდენად დიდ საქმეს, დიდ პასუხისმგებლობასა და დიდ დო-



ნედ მიმაჩნია დღევანდელი ჩემი თანამდებობა, რომ არც მიფიქრია მაგ საკითხზე. მაგრამ დავუმატებ, რომ ყველა კოლექტივში ვმუშაობდი, ჩემი აზრით, გულდაგულად, პირდაპირობით და შეუთავსებლობის კომპლექსი არ მახასიათებს. მე არ მიჭირს ხალხთან, კოლექტივთან მუშაობა, არც მათ უნდა უჭირდეთ. რა თქმა უნდა, ვაყენებ გარკვეულ მოთხოვნებს: პირველ რიგში — საქმე, პირნათელი ურთიერთობა, თავდადება და პროფესიონალიზმი; არის კიდევ ერთი მოთხოვნა, ასე ვთქვათ, არაოფიციალური — კაცურობა, კაცური დამოკიდებულება. ამასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ჩემი მხრიდანაც და თანამშრომლების მხრიდანაც.

**— საბაზრო ეკონომიკა კარს მოგვადგა. თქვენ, მინისტრი, როგორ უყურებთ მასზე გადასვლას?**

— რა თქმა უნდა, დადებითად ვუყურებ — ეს არის რესპუბლიკის ეკონომიკისათვის აუცილებელი პროცესი და ჩვენ იგი უნდა გავიაროთ; გარკვეულ ეტაპზე მას ექნება სირთულეები, მაგრამ შრომისმოყვარე და ნიჭიერმა ხალხმა ეს სირთულეები უნდა დაძლიოს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა უთუოდ გააჯანსაღებს ეკონომიკას და ვიმედოვნებ, რომ გამოიწვევს დადებით სოციალურ ძვრებს.

**— რა აზრისა ბრძანდებით სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, როგორ გესახებათ ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფოებთან?**

— სამოკავშირეო ხელშეკრულების მიმართ უარყოფითად ვარ განწყობილი. ფაქტობრივად მან ისევ ცენტრს უნდა დაუმორჩილოს რესპუბლიკები. მიმაჩნია, რომ ყოველგვარი ურთიერთობა უნდა იყოს პარიტეტული ანუ თანაბარუფლებიანი. ხელშეკრულებებს მხარს დავუჭერ, თუ იგი ამ პრინციპით დაიდება ნებისმიერ რესპუბლიკასთან ან სახელმწიფოსთან და გაითვალისწინებს ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალური სფეროების ურთიერთდაინტერესებულ განვითარებას.

[illegible] საბუთების გაფორმების დროს დაშვებული შეცდომების გამო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების წინ ამომიღო საარჩევნო სიიდან.

**— რას იტყვით ეთნოკრიზისების შესახებ, როგორ შეიძლება კრემლის ინტერვენციის პირობებში სამაჩაბლოს საკითხის გადაწყვეტა?**

— ეთნოკრიზისები, როგორც ჩანს, დამახასიათებელია იმ რეგიონებისათვის, სადაც ისინი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოუგვარებელი რჩებიან. ასეთი ფაქტები ცნობილია თუნდაც ამ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ინგლისში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ახლო აღმოსავლეთში, შორეულ აზიაში და სხვაგან. უმრავლეს შემთხვევაში ეთნოკრიზისების მიზეზს ერთ-ერთი მხარის დაუკმაყოფილებლობა წარმოადგენს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთნი უმართებულო პრეტენზიებს აყენებენ და უსამართლო გზებით ცდილობენ თავიანთი მიზნების განხორციელებას. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე საქართველოს სინამდვილეში: გვედავებიან ჩვენს მიწა-წყალს და იყენებენ ცენტრის ძალებს; კრემლის პოლიტიკა ფაქტობრივად ისევ ცარიზმის პოლიტიკაა: აშკარა დაპყრობითი ომების, ანექსიების, პროვოკაციების და სხვა მისთანათა მეთოდებით იმორჩილებს მცირერიცხოვან ერებს. კერძოდ, შიდა ქართლის მაგალითი. საკითხი მყისვე გადაწყდება, როგორც კი გაიყვანენ საკავშირო ჯარებს და ცენტრი დახმარებას შეუწყვეტს ოს ექსტრემისტებს.

**— თქვენი ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ წლების მანძილზე მუშაობდით ბევრ ხელმძღვანელთან. რას იტყოდით ზოგიერთის შესახებ?**

— დიახ, მე წლების მანძილზე მიხდებოდა საქმიანობა რესპუბლიკის ბევრ ყოფილ ხელმძღვანელთან. იმის გამო, რომ ჩემს თავს ვთვლი საკმაოდ პირდაპირ და ობიექტურ კაცად, ახლაც განვაცხადებ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მეორე მდივნის კოლბინის მიმართ უარყოფითად ვარ განწყობილი: ეს არის საკმაოდ ძლიერი ნატურა, მაგრამ უაღრესად ნეგატიური, უარყოფითი, ტენდენციური, საქმეში მოჩვენებითობის მოყვარული. იგი სარგებლობდა თავისი პოზიციით და მიაღებინებდა ხოლმე ხელმძღვანელობას რესპუბლიკისათვის არაპერსპექტიულ გადაწყვეტილებებს. კერძოდ, ეს მოხდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელახალი შეიარაღების, მეორადი რესურსების გადამუშავების ინდუსტრიის, ტარის მრეწველობის და სხვა საკითხების განხილვის დროს. ისეთი პიროვნებების წინააღმდეგობას, როგორებიც იყვნენ ზურაბ პატარიძე, დიმიტრი ქართველიშვილი და სხვა, კოლბინი არ ითვალისწინებდა, ცხადია საქმის საზიანოდ.

ზურაბ პატარიძის შესახებ: იშვიათად შეხვედრია ასეთი თავდადებული და თავდაუზოგავი ხელმძღვანელი, მრეწველობის დიდი ქომაგი და პატრიოტი, წესიერი კაცი. ვფიქრობ, რომ იგი მთელი თავისი დიდი პოტენცია- [illegible] რი ქართველიშვილი კი დღესაც მიმაჩნია რესპუბლიკის ნომერ პირველ მანქანათმშენებლად.

**— რომელი დარგების უპირატეს განვითარებას ანიჭებთ განსაკუთრებულ ყურადღებას? რომელია პერსპექტიული რესპუბლიკისათვის?**

— ცხადია, პირველ რიგში ისეთი საბაზისო დარგების განვითარებას მიექცევა ყურადღება, როგორიც არის ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმია, მაგრამ მათშიც ქვედარგების პრიორიტეტები გამოიკვეთება. შეუნელებელი ყურადღება მიექცევა ჩვენს შახტებს, მაღაროებს, სამთო-გადამამუშავებელ საწარმოებს, ასეთებია მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ჭიათურის მანგანუმის კომბინატი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, სამთო ქიმიის წარმოება, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და სხვები. დიდი ყურადღება მიექცევა მანქანათმშენებლობის ყველა ქვედარგის საწარმოთა ტექნიკურ ხელახალ შეიარაღებას. აი, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ინსტრუმენტებისა და ტექნიკურ საშუალებათა მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გვაქვს; ინდუსტრიის ამ დარგის განვითარება მიგვაჩნია საქართველოს სოფლის პერსპექტივის ერთ-ერთ საფუძვლად, ქართველი გლეხის რეალური მხარდაჭერის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად. ყურადღება მიექცევა აგრეთვე მებინდერეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის სფეროში შრომის ინტენსიურ შეცვლას, გაუმჯობესებას, შემსუბუქებას, ნაყოფიერების ზრდას. ფართო ამოცანები და გეგმები გვაქვს ინფორმატიზაციის სფეროში, ელექტრონული და ელექტრო-ტექნიკური მრეწველობის საწარმოთა განვითარების ხაზით, ხელსაწყოთმშენებლობისა და სხვა მრავალი მიმართულებით.

მოკლედ, ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი დღეს, მაგრამ არ შემიძლია გვერდი ავუარო ისეთ საკითხებს, როგორიც არის საწარმოთა სოციალური განვითარების პრობლემები, ამაშიც დიდი გეგმები გვაქვს. განსაკუთრებით ყურადღება მიექცევა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებისათვის დახმარებას.

ახლოვდება სახელმწიფოსა და საწარმოს ურთიერთობის ახალი ფორმების დამკვიდრება. სამინისტროს აქაც დიდი ამოცანები აქვს, მაგრამ მათი რეალიზაცია ჩვენთან ერთად შეეძლება მხოლოდ თვით საწარმოთა კოლექტივებს, ამიტომ მათი განსაკუთრებული [illegible] გამო, რომ ადგილებზე ეს ჩვენი პროგრამები იცოდნენ, საჭირო არის კოლექტივებთან ფართო შეხვედრების მოწყობა. ამ მიზნით დაგეგმილი მაქვს და უკვე ვახორციელებ მათთან შეხვედრების რეგიონალურ ციკლს, უკვე ვიყავი რუსთავში, ჭიათურაში, ფოთში და მალე ჩამოვივლი ყველა რეგიონს.

**— რა მიგაჩნიათ თქვენს პირად ღირსებად და ნაკლად?**

— რა ვიცი, აბა!... ნორმალურ განწყობას ყველაფრის მიმართ ჩავთვლი დიდ ღირსებად, ნაკლს კი, ალბათ, სხვები უფრო ხედავენ.

**— თქვენი პირადი ჰობი?**

— რაიმე განსაკუთრებული ჰობი ჩემი თავისთვის არ შემიმჩნევია, ყოველთვის დრო არ მყოფნიდა პირადი ინტერესებისათვის და თუ დრო შექნა, საკარმიდამო ნაკვეთს ვამჯობინებ სხვა გატაცებებს:

**— რა თვისებებს აფასებთ ადამიანში?**

— წესიერებას ურთიერთობებში, კულტურულ ქცევას, პროფესიონალიზმს, თავდადებას, მამულიშვილობას...

**— ხელოვნების რა დარგები მოგწონთ მომეტებულად, რომელი მწერალი გიყვართ?**

— აქაც რაიმე განსაკუთრებულის გამორჩევა არ მახასიათებს: ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ნაწარმოებები მომწონს; ადრე, ბავშვობაში და ახალგაზრდობაში მთელი დრო მხატვრულ ლიტერატურას, ისტორიულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებს მიჰქონდა. ვაფასებ კინოს და თე- [illegible] ვამს", არ შეიძლება არ აფასებდეს ქართველი კაცი ილია ჭავჭავაძეს და მის შემოქმედებას; ძალიან მომწონს ჯეკ ლონდონი, ლიონ ფოიხტვანგერი და მრავალი სხვა. მათ ხშირად შემიძლია დავუბრუნდე. სტუდენტობიდან გატაცებული ვიყავი დავით აღმაშენებლის ისტორიული ფიგურით და ხშირად შემიდარებია იგი სხვა ერის ცნობილ ისტორიულ პიროვნებებს: იგი მაინც განუმეორებელი რჩება ჩემთვის.

**— დიდმა ვაჟამ თქვა: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი". სხვებივით, ალბათ, თქვენც გყავთ კეთილმოსურნენიც და მოშურნენიც. როგორ ექცევით მათ?**

— მე მგონია, კეთილმოსურნენი, ალბათ, ბევრად მეტი მყავს, ვიდრე მოშურნენი, მაგრამ ანგარიშსწორება მოშურნეებთან და ბოროტებთან არ მიყვარს. სადაც მიმუშავია, თვით იმ კოლექტივებმა თქვან, როგორი ურთიერთობა დარჩათ ჩემთან, მე კი მათ, ვისთანაც მიმუშავია სხვადასხვა წლებში, მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებ. რაღაცნაირად იმისი რწმენა მაქვს, რომ ცხოვრება და ღმერთი ყველას თავისას მიუზღავს.

**— დღე-ღამეში რამდენ საათს მუშაობთ, საერთოდ როგორ გაქვთ დღის რეჟიმი განაწილებული?**

— დღეისათვის რეჟიმი მართლაც გადატვირთულია: არ არსებობს შაბათი, კვირა, სამსახურში შუაღამემდე გვიხდება დატვირთული მუშაობა. არცაა გასაკვირი, საქმე გამოულევია და ასე მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც. სამაგიეროდ სასიამოვნოა, რომ ხალხისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებ.

**— თქვენ ფოთთან და საჩხერესთან შეხების ახლო წერტილები გქონიათ. რა გაკავშირებთ, რა გაქვთ საერთო საქართველოს ამ ორ რეგიონთან?**

— წარმოშობით ჩემი გვარი და ოჯახი საჩხერის რაიონის სოფელ გორისიდანაა. ეს არის ჩემი მამისეული და ბაბუისეული ოჯახი, რომლის მიმართ ნამდვილად ღვთაებრივი პატივისცემა მაქვს. რამდენადაც ვიცი, ეს იყო დიდი, ლამაზი, განათლებული და ნიჭიერი ოჯახი, რომელთა წარმომადგენლებს პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ტარტუს უნივერსიტეტებში გატარებული წლები ამშვენებს. მთელი ოჯახისათვის დამახასიათებელია რაღაც არაჩვეულებრივი პატრიოტული განწყობა. ასე იყო ოციან წლებში, ოცდაათიან წლებში და დღესაც. ეს ის ოჯახია, რომელთა რამდენიმე თაობას გარკვეული მსხვერპლი აქვს გაღებული რეპრესიების წლებში. 1941 წლის ზაფხულში მამაჩემმა უკანასკნელად მოინახულა სოფელი გორისა, იქ არის დაბადებული ჩემი ძმაც.

რაც შეეხება ფოთს, დედაჩემის ოჯახია იქიდან, რის გამოც 1943 წელს ჩვენ მოვხვდით იქ, საშუალო სკოლაც იქ დავამთავრე, ძალიან მიყვარს და ვაფასებ ქალაქ ფოთს, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის წლები, რა დამავიწყებს ჩემს მეგობრებს, სკოლას, მასწავლებლებს... საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ფოთს თავისი იერსახე აქვს და მასში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ახალგაზრდობა, ცნობილი კოლექტივები, როგორიცაა ნავსადგური, გემთმშენებელი ქარხანა, მიწის მწოვი მექანიზმების ქარხანა და სხვა. ფოთს ათეული წლების მანძილზე ყოველთვის ახასიათებდა ბრწყინვალე საექიმო, პედაგოგიური, საინჟინრო ინტელიგენცია, სპორტული მიღწევებიც... დღეს ფოთს ახალი პერსპექტივები ესახება, პირველ რიგში მისი ნავსადგურის მოვლის გამო. ამჟამად მთავრობა განიხილავს ფოთის ნავსადგურის დიდი რეკონსტრუქციის გეგმებს. რეკონსტრუქცია მას მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურთა რიგებში ჩააყენებს.

**— როგორია მომავალი საქართველოს თქვენეული პროგნოზი?**

— სასიკეთო! მჯერა, რომ ყოველდღიურად საქართველო უახლოვდება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულ დამკვიდრებას, პოლიტი- [illegible] დგომა განვახორციელოთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი. ეტყობა, ყველა ხედავს, რომ თანამიმდევრულად ხორციელდება ჩვენი რესპუბლიკის გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებისათვის.

გარდამავალი პერიოდი დაწყებულია, იგი შეიძლება რამდენიმე წელიწადს გაგრძელდეს და გარკვეული ეკონომიკური სირთულეებითაც დახასიათდეს, მაგრამ პროგნოზი ოპტიმისტური მაქვს და ჩემი შრომა, ჩემი შესაძლებლობები მომავლის მოახლოებას მოხმარდება.

**— დღეს ყველაზე აქტუალურია საკითხი: მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის მიღებული ღონისძიებები.**

— რაც შეეხება მიწისძვრისაგან გამოწვეულ უბედურებებს, უნდა ითქვას, რომ, ჩემი აზრით, მთელი რესპუბლიკა დგას დაზარალებული რაიონების დასახმარებლად, დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული თითქმის ყოველი ორგანიზაციით. ეტყობა, ეს არცაა გასაკვირი: სწორედ სახალხო მთავრობა, ერის შვილებისაგან შემდგარი ხელმძღვანელობა არც შეიძლება სხვანაირად იქცეოდეს.

მრეწველობის სამინისტრო, მასში შემავალი ქვედარგები, საწარმოები და ორგანიზაციები პირველივე დღიდან არიან ჩართული სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული რაიონებისათვის, მოსახლეობისათვის, შრომითი კოლექტივებისათვის მატერიალური, ტექნიკური, შრომითი დახმარების გაწევის საქმეში. ისეთი კოლექტივები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული, თბილისის ელმავალმშენებელი, საავიაციო, ჩარხმშენებელი ქარხნები, „საქსოფელმანქანა", სამთო ქიმია, მსუბუქი მრეწველობის სისტემის საწარმოები და მრავალი სხვა, მათ შორის საქართველოს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირის ორგანიზაციებიც, თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად თითქმის პირველი დღიდანვე იყვნენ აღნიშნულ რაიონებში: ადგილზე ჩაიტანეს სამშენებლო, სამონტაჟო მასალები, ტექნიკა, დროებითი საცავები, კარვები, პროდუქტი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფულადი დახმარება, როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდად. ასეთი ღონისძიებები გაგრძელდება. პირადად ველაპარაკე ან შევხვდი ყველა პრეფექტს, სხვადასხვა ორგანიზაციათა და საწარმოთა წარმომადგენლებს, მოსახლეობას. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა და ტრაგედიისა, მოსახლეობას გაუტეხავი სული ეტყობა, ფარ-ხმალი არ დაუყრია, მზად არის აღდგენითი სამუშაოებისათვის, თავისი სამსახური შესთავაზა კიდეც მთავრობას. მრეწველობის ობიექტები, მაგალითად, [illegible] ტექნიკისა და ინფორმატიკის რესპუბლიკური გაერთიანება, ცდილობენ გამონახონ შესაძლებლობანი, ვთქვათ, პანსიონატები ან ბანაკები, დროებით მოსახლეობის ჩასასახლებლად, პირველ რიგში ბავშვებისა და ქალებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ მამაკაცები დარჩებიან აღდგენით სამუშაოებზე, რისთვისაც ჩვენ უკვე ვახორციელებთ საწარმოთა და ორგანიზაციათა კონკრეტულ მიმაგრებას ამა თუ იმ სოფლისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით.

ვინაიდან რაიონებისა და სოფლების უმრავლესობა ადგილზე დავათვალიერე, შემიძლია ვთქვა, რომ მატერიალური ზარალი ძალიან დიდია, სახლები თითქმის მთლიანად გამოსულია მწყობრიდან, ეტყობა, ძირითადად ერთი მიზეზით: მშენებლობები ჩატარებულია დარღვევებით, უხარისხოდ, ელემენტარული ნორმებისა და მოთხოვნების დაუცველად. აქვე მინდა ვთქვა, რომ სტიქიური უბედურებების პრაქტიკა არ ისწავლება და ღმერთმაც ნუ გაგვიმეოროს, მაგრამ მისი შედეგების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ წესრიგითა და მაღალი ორგანიზებულობით. ვფიქრობ, ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ.

ესაუბრა
**დავით ბიწაძე.**

# შეხვედრები ახალქალაქის რაიონში

**საქართველოს** რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, როგორც ცნობილია, მიიღო ახალქალაქის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საუბრის დროს გამოიკვეთა აქტუალური საკითხები, რომლებიც ამ რაიონში წლების მანძილზე დაგროვდა და სერიოზულად აბრკოლებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სწორედ ამ პრობლემების ადგილზე გაცნობის, მათი მიზეზის გარკვევისა და გადაჭრის პერსპექტივის დასახვისათვის ახალქალაქის რაიონში ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე. იგი შეხვდა ახალქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს და მოსახლეობას, იყო სოფლებში კუმურდოსა და ვაჩიანში. სახელდახელო კრებებზე გულახდილი და პრინციპული საუბარი გაიმართა იმ სირთულეებზე, რომლებიც ზოგჯერ ობიექტური მიზეზების გამო, უმეტესად კი ხელოვნურად იქმნებოდა, და, სამწუხაროდ, ამჟამადაც ქმნიან ადგილობრივი მასშტაბის უუნარო ხელმძღვანელები, თვითმარქვია პოლიტიკოსები, შემთხვევითი პირები. საჯაროდ ითქვა, რომ დესტრუქციული ელემენტები ცდილობენ სეპარატისტული იდეების გავრცელებას, ქართველთა და სომეხთა შორის ტრადიციული ძმობისა და მეგობრობის ხიდის ჩატეხვას.

ბატონ მურმან ომანიძის შეხვედრები ფაქტობრივად იქცა მოსახლეობასთან გულახდილ საუბრებად, რომელთა შედეგად ახალქალაქელები მაქსიმალურად სრულად გაერკვნენ თავისუფალი საქართველოს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის, მათ შორის პრეფექტურის ინსტიტუტის შექმნისა და ფუნქციონირების, ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობათა წარმართვა-განვითარების საკითხებში და სხვა პრობლემებში.

საქართველოს მიწა ერთიანია და განუყოფელი, საქართველო ერთიანი სამშობლოა, რომლის დანაწილების ყოველგვარ ცდებს ახალქალაქის რაიონის მცხოვრებთა ყველა ფენაში ერთნაირად მტკიცედ და შეურიგებლად წინ აღუდგებიან: ასეთია საერთო დასკვნა.

შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად რესპუბლიკის მთავრობა კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიიღებს.

ბატონ მურმან ომანიძეს ახლდნენ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელები და ჟურნალისტები.

**საქინფორმი**

ხიდი

# მართალი სიტყვა საქართველოზე

**შარშან** საქართველოში იმყოფებოდა ჩრდილო კაროლინის შტატის ილან კოლეჯის პროფესორი კეროლ ჩეიზი. ამერიკელი სტუმარი ოჯახში მიიწვია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების კათედრის დოცენტმა ლეილა ებრალიძემ. ამერიკაში გამგზავრების წინ ამ ოჯახის გულღია მასპინძლობით მოხიბლულმა სტუმარმა საქართველოსადმი მიძღვნილი საკუთარი სონეტი დაუტოვა მასპინძლებს და თან წაიღო ჩვენი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა. მეგობრობა მიწერ-მოწერით გრძელდება.

აპრილის დამდეგს ლეილა ებრალიძემ მშვიდობის დაცვის კომიტეტის ასოციაციის გამგეობის წევრის ნელი ვერულავას ხელით წერილი გაუგზავნა კეროლ ჩეიზს. ქალბატონი ლეილა ამერიკელ კოლეგას ამჯერად იმ დიდ ტკივილზე უამბობს, რასაც ქართულ-ოსური კონფლიქტი ჰქვია. წერილში ლაპარაკია ოსების საქართველოში ჩამოსახლებისა და ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიაზე, იმ სიკეთეზე, რომლითაც სარგებლობდნენ სამაჩაბლოში მცხოვრები ოსები ისტორიულ სამშობლოში მცხოვრებ ოსებისაგან განსხვავებით, კონფლიქტის ჭეშმარიტ მიზეზებზე, ოს ექსტრემისტთა და საბჭოთა ჯარის ნაწილების აღვირახსნილ თარეშზე ძირძველ ქართულ მიწაზე.

კეროლ ჩეიზმა ირწმუნა ქართველი კოლეგის ყოველი სიტყვა, ქსეროქსზე გაამრავლა წერილი და დაურიგა ეკლესიის მსახურთ და მრევლს, კოლეჯის პროფესორ-მასწავლებლებს, მოსწავლეებს, კოლეჯში ჩატარებული საზოგადოებრიობის ფორუმის მონაწილეებს. ქალბატონმა კეროლმა სიტყვით მიმართა ფორუმზე შეკრებილთ, უწოდა საქართველოს საოცარი, დიდებული ქვეყანა, ქართველებს — კეთილი, სტუმართმოყვარე ხალხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მშვიდობისაკენ სწრაფვა და გამოთქვა რწმენა, რომ მისი თანამემამულენი დადგებიან თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის გვერდით.

ფორუმს რამდენიმე კორესპონდენცია მიეძღვნა. ქალაქ ბერლინგტონის ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის „ტაიმს ნიუსის" კორესპონდენტი ფრენკ მელი მკითხველებს ლეილა ებრალიძის წერილის შინაარსს აცნობს და მოჰყავს წერილიდან ადგილები: „ცენტრი (ე. ი. მოსკოვი) გვსჯის იმისათვის, რომ გვსურს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. იგი აქეზებს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებ ოსებს, გამოაცხადონ ამ ტერიტორიაზე თავისი საკუთარი რესპუბლიკა და შეუერთონ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელიც შედის რუსეთის შემადგენლობაში. საბჭოთა ჯარი ოსებთან ერთად ხოცავს ქართველებს, უწვავს მათ სახლ-კარს. რამდენიმე დღის წინ ოსებმა ცოცხლად დაწვეს ოთხი ქართველი ახალგაზრდა, ხოლო საბჭოთა ჯარის ნაწილებმა ცეცხლს მისცეს მართლმადიდებლური ორი ეკლესია".

დღეს, როცა ცენტრი და ჩვენი ზოგიერთი ვაითანამემამულე ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სახელი გაუტეხონ საქართველოს და მის ახალ ხელისუფლებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ სწორი ინფორმაციის გავრცელებას. მადლობა ქალბატონ ლეილას და მის ოკეანის გაღმელ მეგობარს იმ მართალი სიტყვისათვის, რომელიც მათ, ამერიკის მოსახლეობის ერთ პატარა ნაწილამდე მიიტანეს.

**ბელა სურგულაძე,**
**თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების კათედრის დოცენტი.**

### ხსოვნა

# „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“

ეს წიგნი ერთნაირად ძვირფასია როგორც მისი მეგობრებისათვის, იმ თაობისათვის, ვისთანაც ერთად ცხოვრობდა და წერდა გურამ რჩეულიშვილი, ისე იმათთვისაც, ვინც ამ ჩინებულ მწერალსა და პიროვნებას მხოლოდ მისივე ბრწყინვალე ნაწარმოებებით იცნობს. ალბათ, ამაშიც არის კანონზომიერება, რადგან შეუძლებელია ასეთი ერთგვარი დამოკიდებულება შეექმნა ყველა მკითხველს შემოქმედისადმი, თუ ის ჭეშმარიტად ღირსეული არ არის. გურამ რჩეულიშვილის ტევადი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა კი სწორედ ის განძია, რომელსაც ყავლი არასოდეს გაუვა და არც ის ხიბლი გაქრება, რომელიც ასე გვმუხტავს, გვაღელვებს, გვაფიქრებს...

და აი, ქართველმა მკითხველმა მიიღო ტრაგიკულად დაღუპული გამოჩენილი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“. წიგნის ავტორია გურამის უახლოესი მეგობარი მწერალი ნუგზარ წერეთელი, რომელმაც თავის თანატოლს პირველად ამ ათიოდე წლის წინათ შეგვახვედრა წიგნში „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. ეს იყო ამ ნათელი პიროვნების, მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი მწერლის პოეტური სულის, მისი ლეგენდად ქცეული ცხოვრებისა და შემოქმედების ახლო გაცნობა. ამ წიგნმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მალე გამოვიდა მისი მეორე, გადამუშავებული გამოცემა, რომელშიც ბევრი ახალი მასალა შევიდა.

ახლა კი ხელთა გვაქვს ახალი წიგნი, იგი მთლიანად ახალი მასალებით შეიქმნა: წერილებმა, ახლო მეგობრების მოგონებებმა, დღიურებმა, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების ნაწყვეტებმა შეადგინეს ეს საყურადღებო გამოცემა. მაგრამ, მას მაინც განსაკუთრებულ ღირსებას ჰმატებს ის, რომ მასში პირველად არის ნაჩვენები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ეროვნული სულისკვეთება, მწერლის ეროვნული მრწამსი. ცხადია, წინა წიგნებში მთლად გამოკვეთილად შეუძლებელი იყო გურამ რჩეულიშვილის ამ პოზიციის გაცხადება, რადგან მაშინ ამაზე მხოლოდ მინიშნებით თუ შეიძლებოდა რაიმეს თქმა. ახალ წიგნში გურამ რჩეულიშვილი წარმოდგა ჩვენს წინაშე ისეთი, როგორიც იყო — სპეტაკი, შეურიგებელი ყოველგვარი მანკიერებისა და სიყალბის მიმართ, სიმართლის მოყვარული, მოყვასის ერთგული, პირდაპირი, ჭეშმარიტი მამულიშვილი. ხოლო ამ თვისების სააშკარაოზე გამოტანა იმ დროში ძნელიც იყო და საშიშიც... მაგრამ გურამ რჩეულიშვილი რის გურამ რჩეულიშვილი იქნებოდა, რომ თავის შეხედულებებზე უარი ეთქვა, რაიმე მიეკიბ-მოეკიბა, აქაო და არავის ვაწყენინო რამეო. გურამი ნამდვილი ქართველი იყო ამ ცნების საუკეთესო გაგებით. დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „არც არავის დაჩაგრავდა და არც არავის დაეჩაგვრინებოდა“. იგი თითქოს ჩქარობდაო ეთქვა თავისი სათქმელი. მისი ნაწარმოებები სავსეა სიკეთით და სინათლით, სიამაყით და სილამაზით. გურამის მშვენიერი მოთხრობებიდან და ნოველებიდან ნათლად ჩანს მათი ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც საოცრად ეხმიანება ეროვნული მოძრაობის გზით მიმავალ თაობას. გურამ რჩეულიშვილი ის მწერალია, რომელიც ყოველთვის დასჭირდება მკითხველს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში.

ასეთი წიგნისათვის მადლობა ეთქმის მის შემქმნელს ნუგზარ წერეთელს. ჩვენც ამ მადლობას გურამის დედის ქალბატონ მარიამ ნიჟარაძე-რჩეულიშვილის სიტყვებით გავიმეორებთ: „არ შემიძლია დიდი მადლობა არ გადაგიხადო იმ სამსახურისათვის, რაც შენ გაუწიე შენს მეგობარს შენი წიგნის დაწერით... დარწმუნებული ვარ, ამ სიტყვებს შეუერთდება ათასობით მკითხველიც, ვისთვისაც გურამ რჩეულიშვილი მარად ცოცხალი თანამედროვე არის და იქნება, რადგან ჭეშმარიტი ნიჭი მისი, მწერლური და პიროვნული გზა მისაბაძია ყოველი ქართველისათვის.

აი, ასეთი გურამი წარმოდგა ნუგზარ წერეთლის წიგნიდან, ასეთად ვიცნობდით მას ჩვენ, ასეთივე ივლის ჩვენთან ერთად, თაობიდან თაობაში.

**მერი ბაბრიაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

### ღვაწლი

# სიკეთის სამსახურში

**ბატონი შალვა ხიდაშელი ოთხმოცი წლისაა**

ამ წლების გადამტან და გამძლებ თაობას დღეისათვის მართლაც ბევრი მოსაგონარი დაუგროვდა: იგი მომსწრე და მოწმეა რუსეთის იმპერიის დაცემისა და მისის კვლავ წითლად აღორძინებისა, 1918 წლის 26 მაისის ჩვენი ეროვნული ზეიმისა და 1921 წლის 25 თებერვალს თეთრ ცხენზე ამხედრებული სატანის გაჯიითებისაც, რომლის შედეგად მიყენებული ჭრილობები ქართველ ხალხს დღემდე არ მოუშუშებია. გაუთავებელი რეპრესიები, შემდეგ კი — უსაშინლესი ომი, „გამარჯვებულთა ზეიმი“ და მილიონობით ახალი მსხვერპლი — ეს ყველაფერი ამ თაობის „გვერდით“ კი არ ხდებოდა უბრალოდ, იგი მართლაც გადამტანია ყოველივე ამისა. სწორედ რომ ჯოჯოხეთშია გამოვლილი ეს თაობა და რაოდენ სასიხარულოა, როდესაც რწმუნდები, რომ ღვთის სახელით მოვლენილ სტანასთან „არ ჩაერილან“, არ დაცემულან, შულით უტეხობით სიკეთის უძლეველობის რწმენა და დღესაც ამ რწმენით ანთებულნი დადიან.

ბატონმა შალვა ხიდაშელმა ამ მიმართებით ნათლობა ალბათ სტუდენტობის წლებში (1927-1931 წ. წ.) ცნობილ ელინისტ პროფ. გრ. წერეთლის სემინარებში მიიღო. თვითონ განსაკუთრებით იხსენებს ამ წლებს და ერთერთ თავის მოძღვრად ამ დროსათვის პროფ. ს. დანელიაც მიაჩნია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ლენინგრადის კულტურულ გარემოში აღმოჩნდა, აქ დაამთავრა ასპირანტურა, დაამზადა საკანდიდატო დისერტაცია („არსის პრობლემა პარმენიდეს ფილოსოფიაში“), რომელიც მხოლოდ ომის შემდეგ, 1947 წელს დაიცვა. აქედან ვიმყარებთ ჩვენი თაობის სტუდენტებიც მასთან უშუალო კონტაქტს და მოწმე ვართ დღემდე ყველა მისი ნაბიჯისა მეცნიერებაში თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. პირველი, რითაც დაგვამახსოვრა თავი ბატონმა შალვამ, ეს იყო ახალგაზრდული ტემპერამენტით წაკითხული ანტიკური ფილოსოფიის კურსი (პლატონის ჩათვლით). ამ კურსის დროს გაგვიმჟღავნა მან თავისი, ასე ვთქვათ, სამომავლო გეგმაც; მას კარგი სკოლა გაუვლია თურმე დიდ ივანე ჯავახიშვილთან (მუზეუმის მუშაკად უფროს მეცნიერ-თანამშრომლად), დაინტერესებულა რუსთველის ეპოქის ფილოსოფიურ-კულტურული მემკვიდრეობით, რომლის წარმოსაჩენადაც აუცილებელი ყოფილა ანტიკური და ბიზანტიური ხანის მოძღვრების გამოკვლევა ამ მიზნით. ეს გეგმა რომ მან მიზანდასახულად განახორციელა, ამის შესახებ მოგვიანებით ვიტყვით. ამჯამად კი ისევ სტუდენტური ფილით დანახული ბატონი შალვა. იმ დროს, მეტად დაძაბულ დროს, თითოეული „მოუზომელი“ სიტყვისათვის იჭერენ და აპატიმრებენ სტუდენტებს, პირდაპირ ნადირობაა გამოცხადებული გამოჩენილ პროფესურაზე. ეჭვის მიზეზი კი შეიძლება ყოფილიყო ფილოსოფოსის ნათქვამი ყველა მარტივი წინადადება, თუკი იგი შემაგრებული არ იქნებოდა რომელიმე ბელადის „ბრძნული“ ჭეშმარიტებით“.

და აი, ათეული წლების მანძილზე სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან განდევნილი ლოგიკა (ლოგიკის მეცნიერება) კვლავ „დაუშვეს“ ზემოდან 1945 წელს. ამას მოჰყვა დისკუსია კავშირის მასშტაბით — რომელი ლოგიკაა ის, რასაც მარქსიზმი ეყრდნობა და რომელის სულისკვეთებითაც უნდა აღიზრდილიყო „კომუნიზმის მშენებელი“ ახალგაზრდობა. დიქტატორულმა პარტიამ კვლავ იპოვა ახალი ასპარეზი მეცნიერთა საქმეში ჩასარევად, იპოვა საბაბიც ახალი რეპრესიებისათვის. მოხდა ისე, რომ დისკუსიას სათავე ფაქტობრივად ჩვენთან, საქართველოში, ცერძოდ, თბილისის უნივერსიტეტში დაედო. ის საპროგრამო თვალსაზრისებიც (დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის მომხრეთა) აქ გამოიკვეთა. როდესაც დისკუსიამ საკავშირო პრესაში გადაინაცვლა, აქაც ლიდერებად ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები, ბატონი კოტე ბაქრაძე და ბატონი სავლე წერეთელი აღიარეს. შეუდგა კვლავ საქმეს პარტიული ელიტის „სამზარეულო“, გამოცხვა იარლიყები ანტიმარქსიზმისა და იდეალიზმისა, რომლებიც დამოკლეს მახვილად დაეკიდა დისკუსიის ქართველ ლიდერთა თავზე. ბელადის „ჭეშმარიტელი სიტყვის“ მოლოდინში „სამსხვერპლო“ უკვე გამზადებული ჰყავდათ. ამუშავდა მრავალხაცადი მექანიზმი — ეძებდნენ მომხრეებს უნივერსიტეტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. ბევრმა ცდუნებას ვერ გაუძლო მაშინ და ეშმას მიეყიდა. ბატონმა შალვა ხიდაშელმა მაშინდელ სტუდენტებს კარგად დაგვამახსოვრა თავი: იგი, მართალია, ამ დისკუსიის აქტიური მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ „საქმის შუაგულში“ იმყოფებოდა თავისი მტკიცე პოზიციით — დისკუსია წმინდა მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობდა და მეცნიერულადვე უნდა დამთავრებულიყო; ყოველგვარი პარტიული ჩარევა მხოლოდ „წყლის ამღვრევად“ იყო მოწოდებული, რათა იოლად მოეგდოთ ხელში ახალი მსხვერპლი. ამგვარ ჩარევას არავითარი მეცნიერული ინტერესები არ ამოძრავებდა.

ჩვენ მოწმენი გავხდით ჩვენი ერის ისტორიაში ერთი დიდი კულტურული მოვლენის დაბადებისაც: დიდმა შალვა ნუცუბიძემ აღმოსავლური რენესანსის იდეა წამოაყენა და მისი დასაბუთების გზაზე მიადგა პრობლემას: ვინ უნდა ყოფილიყო ის პიროვნება, ვინც დიონისე არეოპაგელის სახელით დასავლურმა რენესანსმა თავის წინამორბედად აღიარა? მოგვიანებით ევროპაშივე დაადგინეს, რომ ე. წ. „არეოპაგიტული კორპუსის“ ავტორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო პავლეს მოწაფე დიონისე არეოპაგელი იმის გამო, რომ აქ (არეოპაგიტულ კორპუსში) აშკარაა კვალი ნეოპლატონიკოს პროკლესი, რომელიც არეოპაგელ დიონისეს შემდეგ მთელი სამი საუკუნით გვიან მოღვაწეობდა. ცხადი გახდა, რომ დიონისე არეოპაგელის სახელი ამოფარებული იყო სხვა ისტორიული პიროვნების. ამ პიროვნებისადმი ინტერესი ევროპაში დღემდე არ განელებულა.

დიდმა მეცნიერულმა ალღომ, ანტიკური და შუა საუკუნეების ისტორიაში ღრმად განსწავლულობამ ბატონ შალვა ნუცუბიძეს მისცა საშუალება დაედგინა ვინაობა იმ პიროვნებისა. ასეთად მან მიიჩნია ბიზანტიის იმპერატორის კარზე აღზრდილი ქართველი უფლისწული, შემდეგში დიდი საეკლესიო მოღვაწე პეტრე იბერი. პარალელურად და დამოუკიდებლად იმავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი ბიზანტოლოგი ჰონიგმანი. რუსეთშიც გაუჩნდა მიმდევრები ამ გაბედულ ჰიპოთეზას და... დაიწყო გაუთავებელი დავა და თავდასხმები. მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობა თითქოს უნდა გამოჰყოლოდა ასეთ თეორიას: ცოტა ხნით ადრე ხომ სასტიკად დაგმეს გ. ალექსანდროვის წიგნი „დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორია“, რადგან მასში დასავლეთისადმი ქედმოხრა განჭვრიტეს. კარგად თუ დავაკვირდებით ამ წიგნის გარშემო ატეხილ დავას, დავინახავთ, რომ პარტიულ დიქტატს აშკარად ფიგურირებს აღმოსავლეთის პრიორიტეტის აღიარება... სოციალისტური რევოლუციაც ხომ აღმოსავლეთიდან დაიწყო?! მაგრამ ნურას უკაცრავად, როგორ შეიძლება მსოფლიო რენესანსის სათავე ისეთ პატარა ერში ვეძიოთ, როგორიც ქართველებია? როგორ შეიძლებოდა თავში აზრად მოსვლოდა ეს შალვა ნუცუბიძეს? მას თურმე ძველი ნაციონალისტური ცოდვები ალაპარაკებდნენ. დაიწყო გაუთავებელი ლანძღვა და განქიქება. ყველაფერი აირია ერთმანეთში — ძნელი დასადგენი გახდა, ვინ პარტიული პოზიციებიდან ესხმოდა თავს ბატონ შალვა ნუცუბიძეს და ვინ კიდევ — წმინდა მეცნიერული მოსაზრებით. ამას ისიც დაერთო, რომ დაგმობილ იქნა ბელადის (სტალინის) კულტი და ისევ „მთელი პარტიული ტრიბუნიდან“ შალვა ნუცუბიძეს ახალი ბრალდებები წაუყენეს. ძნელი, მართლაც ძნელი იყო ასეთ დროს გვერდში ამოსდგომოდი ამ ბუმბერაზ მეცნიერს.

მადლობა ღმერთს, ამ დროისათვის საკმაოდ დაგვიგროვდა „გამოცდილება“ და ბატონ შალვა ნუცუბიძეს ჰუმანური თანადგომა არ მოკლებია. უფრო მეტიც, სწორედ ამ კრიტიკული მომენტიდან მიეცა მას ჭეშმარიტი ასპარეზი თავისი საქმიანობის გასაშლელად ფილოსოფიის ისტორიაში. მაგრამ სულ სხვა შეფასების საგანია ისეთი თანადგომა, რომელიც შალვა ხიდაშელმა აირჩია: კრიტიკული გაზრების შემდეგ ნუცუბიძის მეცნიერულ მრწამს მან სრული ნდობა გამოუცხადა და მთელი მეცნიერული შემართებით ჩაერთო ცნობილი ჰიპოთეზის დაცვა-განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. მართალია, მან მეცნიერთა მთელი პლეადა აღზარდა, რომელიც ერთგულად ამოუდგა მას მხარში, მაგრამ შალვა ნუცუბიძის გარდაცვალების შემდეგ დიდი მოძღვრის მემკვიდრეობის დაცვისა და ფართო ასპარეზზე გატანისათვის ბრძოლა საკუთრივ მის მხრებს დააწვა. საგულისხმოა ამ მხრივ ბატონ შალვა ხიდაშელის მონაწილეობა ქ. რომში გამართულ მსოფლიო კონგრესზე (1970 წ.), რომელიც მიეძღვნა პრობლემას — პლოტინი და ნეოპლატონიზმი აღმოსავლეთსა და დასავლეთში. მისი მოხსენება — „ნეოპლატონიზმი შუა საუკუნეების საქართველოში“ — თავისებურად აჯამებდა ქართველ ფილოსოფოსთა ამ დარგში მიღწეულ შედეგებს. მოხსენებამ დიდი წარმატება ხვდა წილად და დაიბეჭდა კონგრესის მასალებში (გერმანულ ენაზე). ასევე ნაყოფიერი გამოდგა ბატონ შალვას ორი მივლინება (1968 წ. და 1969 წ.) აღმოსავლეთ გერმანიაში. აქ მან ქ. იენის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების ციკლი საერთოდ ნეოპლატონიზმზე და განსაკუთრებით კი ქართულ ნეოპლატონიზმზე, რომელსაც დადებითად გამოეხმაურა გერმანული პრესა.

ბატონი შალვა ხიდაშელი იღვწის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში მისი დაარსების დღიდან (1946 წ.). იგი აქ თავიდანვე ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას, ხოლო 1967 წლიდან სათავეში უდგას მისი ინიციატივითვე შექმნილ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის სექტორს. პარალელურად ეწეოდა და ეწევა დიდ პედაგოგიურ მოღვაწეობას. — იგი ამჟამადაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სასურველი და საყვარელი პროფესორია, რომელიც მათ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიას უკითხავს.

ძნელია საგაზეთო სტატიაში გაანალიზო ის მდიდარი ფილოსოფიური შემოქმედი, რომელიც ბატონ შალვა ხიდაშელის სახელს უკავშირდება. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თუ დღეს აკადემიის ინიციატივით დაგეგმილი ქართული ფილოსოფიური აზრის ოთხტომეული გამოცემა (რომლის I ტომი უკვე მზად არის დასაბეჭდად), ამაში უდიდესი დამსახურება ბატონ შალვას ეკუთვნის. ალბათ ამავე ოთხტომეულში აისახება მისივე გაბედული გადახვევა მარქსისტული ტრაფარეტიდან — ფილოსოფოსთა მექანიკური დაყოფა იდეალისტებად და მატერიალისტებად. დიახ, ბატონმა შალვამ პირველმა სცადა ქართული შუა საუკუნეების ფილოსოფიური მემკვიდრეობისათვის აქსიოლოგიური თვალით შეეხედა და საყურადღებო შედეგებსაც მიაღწია. აქა დაუფასდა კიდეც შრომა: იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს 1988 წელს.

მაინც ერთ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება გვინდა დავამთავროთ: ღმერთი რომ კეთილს მოავლინებს და ბოროტს თავის თავიდან არ დაბადებს — ამ იდეის გარშემოა თითქმის გაშლილი ბატონ შალვა ხიდაშელის ფილოსოფიური შემოქმედება. ამით, რა თქმა უნდა, უარყოფილი როდია „ბოროტების აღზევების“ ფაქტობრიობა თუ შესაძლებლობა, მთავარია სიკეთის **უმაღლესობის** აღიარება და მასთან მიმართებაში, **მასთან წილნაყარობაში ყოველივე არსებულის შეფასება.** ამის თეორიული დადასტურება პლატონთანაც, ნეოპლატონიკოსებთანაც, ქრისტიანობაშიც აღმოაჩინა. სხვა საკითხია, თუ რატომ ნეოპლატონიკოსებთან დაინახეს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ღონისძიები მესვეურებმა თავიანთი იდეური წყარო. ეს **ზუსტი მეცნიერული** კვლევის საქმეა და ამ საქმეს კვლავაც იკვლევს აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი. მარად კეთილქმედებისათვის მისი პიროვნული მიმართულობა ამ საქმის კეთილად გასრულების საწინდარადაც უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოება ულოცავს ბატონ შალვას შესანიშნავ მეცნიერს, ჭეშმარიტ ინტელიგენტს, თავის სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ, სიკეთის მთესავ ადამიანს — ახალი გამარჯვებები მოეტანოს მშობლიური მეცნიერებისათვის.

**გურამ თევზაძე,**
**თამაზ ბუაჩიძე,**
**ვახა გოგობერიშვილი.**

### დღეს ხვალისათვის

# სად ვეძებოთ წინასწარმეტყველები?

**საქართველოს** საკუთილდღეოდ იტალიაში საკუთარ ლაბორატორიაზე, და მაშასადამე, კარგ ცხოვრებაზე თქვა უარი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნეიროქირურგიის კურსის ასისტენტმა ზურაბ მურვანიძემ. მის გამოკვლევებს განსწავლული ადამიანები მიაკუთვნებენ ფუნდამენტურ გამოკვლევათა რიცხვს, რომლებიც შეიცავენ აღმოჩენის ყველა ელემენტს.

ზურაბ მურვანიძემ შეიმუშავა თავისქალაშიდა პათოლოგიის დიაგნოსტიკის ახალი მეთოდი, რომელიც თავისი უვნებლობით, სიზუსტით, დროის ეკონომიითა და მინიმალური დანახარჯებით მკვეთრად გამოირჩევა მსოფლიოში არსებული ყველა სხვა მეთოდისაგან. საქმე ეხება თავის ტვინის სიმსივნის პროცესების ადრეულ დიაგნოზს, მათ ხასიათს. ფართო საფუძველზე დაყენებული, ზურაბ მურვანიძის მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ზოგად ონკოლოგიაში, თერაპიაში, მეანობაში, გინეკოლოგიაში, უროლოგიაში. იგი შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს აგრეთვე პოლიკლინიკური გასინჯვისა და დისპანსერიზაციის პირობებში.

ასობით ავადმყოფს, რომლებსაც ბედმა გაუღიმა და ექიმ მურვანიძესთან მოხვდნენ, დროულად გაუკეთეს სიმსივნის ოპერაცია, ან, პირიქით, შეუცვალეს დიაგნოზი და ისინი, თითქმის განწირულები, ნეიროქირურგისგან, ბედნიერნი ბრუნდებოდნენ შინ, ტოვებდნენ მის კაბინეტში თავიანთ „მომაკვდინებელ“ ეპავებს.

აქ შეიძლებოდა წერტილიც დაგვესვა, მაგრამ...

მთელი უბედურება ის არის, რომ მეთოდი, რომელიც თავისი მნიშვნელობით საგანგებოა, აქამდე ფართოდ არ დანერგილა საქართველოს პრაქტიკაში, ხელსაწყო-ტოპოგრაფი კი მხოლოდ ერთი ეგზემპლარია და იგი ავტორს აქვს. სხვათა შორის, ამ დღეებში ზურაბი აღნიშნავს თავისი გამოგონების სამწუხარო იუბილეს — ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გასცეს საავტორო მოწმობა...

ნეიროქირურგი ზურაბ მურვანიძე სამეცნიერო ხარისხის მიღებას არ ეშურება. იგი ბევრად უფრო საჭირო, პრესტიჟულ და შემოსავლიან საქმედ მიიჩნევს თბილისში ბიოენერგეტიკული ლაბორატორიის შექმნას, რომელიც საფუძვლიანად და სერიოზულად მოჰკიდებდა ხელს ამ პრობლემებს.

**ლუდმილა იაკობაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

### საზღვარგარეთ

# ინდოსტანის „ცხელი“ წერტილები და საქართველო

**თანამედროვე** მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ და საინტერესო ქვეყანაში ინდოეთში დღემდე შემორჩენილია ცხოვრების არქაულ-ფეოდალური წესი, მოსახლეობის კასტური დაყოფა, არსებობს სხვადასხვა რელიგია. ნაყოფიერი მიწების მიუხედავად მილიონობით ინდოელი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ან მშიერია ან ნახევრად მშიერი. ამავე დროს ინდოეთი არის მოწინავე ელექტრონულ-კომპიუტერული და კოსმოსური ქვეყანა. მისი არმია კი სიძლიერით მსოფლიოს მე-4 არმიად ითვლება.

1991 წლის დამდეგისათვის ინდოეთში 844 მილიონი კაცი ცხოვრობდა. ეს პლანეტის მოსახლეობის 16 პროცენტია. ინდოეთის ზრდა თუ ახლანდელი ტემპით გაგრძელდა, მისი მოსახლეობა 2005 წელს 1446 მილიონ ადამიანს მიაღწევს, ხოლო 2030 წელს კი ჩინეთს გაასწრებს.

ინდოეთში 22 შტატი და 9 მოკავშირე ტერიტორიაა. ზოგიერთი შტატის მოსახლეობა ევროპის უდიდესი ქვეყნების მოსახლეობას აღემატება. მაგალითად შტატ უტარ-პრადეშში 125 მილიონი კაცი ცხოვრობს, ბიჰარაში — 78, მაჰარაშტრაში 65. მოსახლეობის 83 პროცენტი ინდუიზმის მიმდევარია, 11 პროცენტი ისლამს აღიარებს. არიან სიქჰიზმის მიმდევრები, ქრისტიანები, ბუდისტები, ჯაინისტები და სხვა. ინდოეთში განვითარებულია 15 ძირითადი ენა, მაგრამ მოსახლეობის გამაერთიანებელ ენად ინგლისური ითვლება.

თანამედროვე ინდოეთს მრავალი პრობლემა აწუხებს, მათ შორის ყველაზე სერიოზულია ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. ინდოეთის ტერიტორია სხვადასხვა სახელმწიფოებად რამდენჯერმე დაიშალა. 1947 წელს ბრიტანეთის ყოფილი კოლონია მუსლიმანური ლიგის ენერგიული მოთხოვნით ორ დომინიონად ინდოეთად და პაკისტანად გაიყო. კუნძული ცეილონი დღეს შრი-ლანკას სახელწოდებით დამოუკიდებლად არსებობს. მოგვიანებით ინდოეთ-პაკისტანის ომის შედეგად აღმოსავლეთ პაკისტანი ბანგლადეშის სახელმწიფოდ გამოცხადდა.

ეს პროცესი ინდოეთში დღესაც გრძელდება. უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა შტატები, რომლებიც ინდოეთიდან გამოყოფასა და დამოუკიდებლად არსებობას აპირებენ. პირველ რიგში ეს ასამის, პენჯაბის, ჯამუსა და ქაშმირის შტატებს ეხებათ.

როგორც ცნობილია ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერის რაჯივ განდის მკვლელობის გამო დროებით შეწყდა პარლამენტის სახალხო პალატისა და მთელი რიგი შტატებისა და მოკავშირე ტერიტორიების საკანონმდებლო კრებების არჩევნები. ახლა შეწყვეტილი არჩევნები განახლდა. იგი ასამის შტატში დაიწყო. ეს შტატი ინდოეთის ერთ-ერთ მღელვარე შტატად ითვლება. ასამში შექმნილმა რეგიონალურმა პოლიტიკურმა პარტიამ ასამ განა პარიშადმა 1985 წელს შტატის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და ახლა მიუხედავად იმისა, რომ ასამს ზღვაზე გასასვლელი არ აქვს, მისი ინდოეთიდან გამოყოფის საკითხს უკვე არა აგიტაციის არამედ შტატის ხელისუფლების უფლებამოსილების დონეზე აყენებენ.

ასეთ ვითარებაში შარშან ნოემბერში ასამში საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღეს. დაიწყო შეიარაღებული პარტიზანული ბრძოლა. ასამის ეროვნულ ფორმირებებს, რომელთა რიცხვი ზოგიერთი ცნობით 30 ათასს უახლოვდება, კავშირი აქვს პენჯაბელი, ქაშმირელი, ბირმელი, შრი-ლანკის ტამილ აჯანყებულებთან. მათ კოორდინირებული მოქმედებით საზღვარგარეთიდან შემოაქვთ იარაღი. ასამელი პატრიოტების აზრით შტატი, თუ დამოუკიდებლად იარსებებს, თავისუფლად შეძლებს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ასამში კრეფენ ინდოეთის ჩაის მოსავლის 60 პროცენტს. ამავე დროს ასამზე მოდის ინდოეთში მოპოვებული გაზისა და ნავთობის ნახევარი.

დაძაბული ვითარებაა ჯამუსა და ქაშმირში. აქ პოლიტიკურ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებენ ისლამის ფუნდამენტალისტები, რომლებიც დამოუკიდებელი ისლამური სახელმწიფოს შექმნას აპირებენ. ამ შტატების სტატუსის საკითხი ინდოეთისათვის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა.

1947 წელს ქაშმირის მაჰარაჯამ ჰარი სინგჰმა, რომელსაც პაკისტანის მხრიდან აგრესია ელოდა, დასახმარებლად დელის მოუხმო. აქედან მაჰარაჯას შეუთვალეს, რომ მხოლოდ მაშინ დაგეხმარებით, თუ ინდოეთს შემოუერთდებით. მაჰარაჯამ თანხმობა განაცხადა და ქაშმირში ინდოეთის დესანტი გადასხეს. პაკისტან-ინდოეთის შეტაკების შედეგად ჯამუსა და ქაშმირის ტერიტორიის ერთი მესამედი პაკისტანს დარჩა, რომელსაც დღეს „აზატ ქაშმირი“ (თავისუფალი ქაშმირი) ეწოდება. 1942 წელს პაკისტანის ინიციატივით ქაშმირის საკითხი გაერომ განიხილა, რომელმაც დაადგინა შტატებში რეფერენდუმის ჩატარება. იგი ვერ ჩატარდა, ხოლო 1957 წლის ინდოეთის კონსტიტუციით ქაშმირი ინდოეთს მიეკუთვნა, რამაც ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. ჯამუსა და ქაშმირის გამოყოფისათვის ყველაზე ენერგიულად იბრძვის „ქაშმირის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი“, რომელსაც 44-მდე სამხედრო დაჯგუფება ჰყავს. ინდოეთის წინა პრემიერმა ვიშვანატხ პრატაპ სინგჰმა, ორივე შტატში საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღო და დიდძალი ჯარიც გაგზავნა.

ამჟამად ჯამუსა და ქაშმირში გამოუვალი ვითარებაა. არც გამოყოფის მომხრე ძალები და არც ცენტრი ერთმანეთს არ უთმობს. ამ ნიადაგზე ყოველთვის მოსალოდნელია ინდოეთ-პაკისტანის ომის დაწყებაც. ისლამაბადი გამუდმებით მოუწოდებს თანამემამულეებს მზად იყვნენ ინდოეთთან 1000-წლიანი ომისათვის ქაშმირელი ძმების გასათავისუფლებლად.

უმძიმესი ვითარებაა პენჯაბის შტატშიც. უკანასკნელ დღეებში აქ დაიღუპა 17 კაცი, მათ შორის შტატის საკანონმდებლო კრების არჩევნების დამოუკიდებელი კანდიდატი ჯასტიჯ სინგჰი. ეს მე-15 კანდიდატია, რომელიც აქ მოკლეს 25 აპრილს დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს. როგორც ცნობილია, იგი რაჯივ განდის მკვლელობის გამო შეწყდა და მხოლოდ ამ დღეებში განახლდა. როგორც ინდოეთის „ნეშნლ ჰერალდი“ იუწყება არჩევნების მრავალი კანდიდატი იძულებულია დატოვოს შტატი.

პენჯაბი ინდოეთის მასშტაბით პატარა შტატია, აქ მხოლოდ 13 მილიონი კაცი ცხოვრობს, მაგრამ დაღუპულთა რიცხვით მან ბევრით გაასწრო სხვა შტატებს. შარშან აქ დაიღუპა 3,5 ათასი კაცი. საპრეზიდენტო მმართველობის მიუხედავად აქ ბრძოლები არ ცხრება. ერთ-ერთი სიქჰი პროფესორის აზრით „საჭიროა პენჯაბის ისტორიის ცოდნა, უნდა იცნობდე სიქჰებს. ჩვენ დაბადებით მეომრები ვართ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დიდი ხანია გაგვანადგურებდნენ. იარაღის ძალით პენჯაბში ვერაფერს მიაღწევ. სიქჰები რაც უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, მით უფრო შეუპოვრები ხდებიან“.

მოყვასისადმი სიქჰის ტრადიციული სურვილია „გიყვარდეს დედა და ღმერთი“.

სიქჰიზმი როგორც რეფორმირებული ინდუიზმი დააარსა 1469 წელს გურუ ნანაკომ. რელიგიის ცენტრია წმინდა ქალაქ ამრიტსარის ოქროს ტაძარი. სიქჰიზმში მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიების დოგმებიც შედის. მათ აკრძალული აქვთ თამბაქო და სასმელი. ამავე დროს პატივს სცემენ სხვა ქვეყნის ტრადიციებსაც. ასე რომ, ნურავის გაუკვირდება, თუ თბილისში სტუმრად მყოფი სიქჰი ღვინოს მიირთმევს.

სიქჰებს მოგოლთა მხრიდან დიდი საფრთხე ემუქრებათ. ამ რთულ ვითარებაში გოვინდ სინგჰმა ჩამოაყალიბა უძლიერესი სამხედრო ორგანიზაცია „ჰალსა“, რომელმაც შეძლო ინდოეთის დამპყრობი მოგოლების შეჩერება. ამ პერიოდიდან ზრდადასრულებულ სიქჰს მიემატა ტიტული „სინგჰი“ (ლომი). დღეს სიქჰები თუმცა ინდოეთის მოსახლეობის ერთი პროცენტია, მისი არმიის 13 პროცენტს შეადგენენ. ინდოელი სპორტსმენთა და პოლიციელთა თითქმის 40 პროცენტი სიქჰია. მათ შორის ბევრია გამოჩენილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე.

უკვე 11 წელია პენჯაბში სისხლისმღვრელი ბრძოლებია. სიქჰებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს „ჰალისტანის“ შექმნა სურთ. უკვე მოჭრილია ამ სახელმწიფოს ფული, დამზადებულია პასპორტი და ზოგ ქვეყანაში გახსნილია მათი საკონსულოებიც.

სიქჰების აზრით „ჰალისტანი“ სუვერენული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო უნდა იყოს. იგი დიდ ეკონომიკურ კეთილდღეობას მიაღწევს. პენჯაბი ინდოეთის ბეღელია. შესაძლებელია არა მარტო ხორბლის ექსპორტი, არამედ ტყავის, შალისა და ტრიკოტაჟის ნაწარმისაც. სიქჰები ფიქრობენ, რომ დააინტერესებენ უცხოელ ფულის დამბანდებლებს.

ინდოეთის მასშტაბით პენჯაბი ძალიან შეძლებული შტატია. აქ შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. ამიტომ ვერასოდეს ვერ ნახავს კაცი სიქჰს, რომელსაც სამათხოვროდ ექნება ხელი გაწვდილი.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ამბავი. ცნობილია, რომ ევროპიდან ინდოეთში გამავალი სავაჭრო გზა ფაზისზე და მცხეთაზე გადიოდა. „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ინდოეთთან საქართველოს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა. მე-IX საუკუნის ძეგლში „ბალავარის სიბრძნეში“ წარმოდგენილია ინდური ღვთაების ბუდას წარმოშობის თავისებური ვერსია, ინდოეთზეა საუბარი „ამირან-დარეჯანიანში“, „ვეფხისტყაოსანში“, რომლის მთავარი გმირები ნესტანი და ტარიელი ინდოელები არიან. ქართველები მონაწილეობდნენ ინდოეთზე მოწყობილ ლაშქრობებში, გიორგი სააკაძე — შაჰაბაზთან და ერეკლე II — ნადირშაჰთან ერთად. ერთ-ერთი ვერსიით სპარსეთში წამებული ქეთევან დედოფალი მოგვიანებით ინდოეთში დაკრძალეს.

მე-18-19 საუკუნემდე თბილისში ცხოვრობდნენ ვაჭრები, რომლებსაც ინდოეთიდან სისტემატურად ჩამოჰქონდათ იარაღი, წამლები, სანელებლები, ქაშმირის ქსოვილები, ხოლო საქართველოდან ინდოეთში მიჰქონდათ შალი, ცვილი, საპონი. ინდოეთში მოგზაურობის საინტერესო სურათები აგვიწერა ქართველმა რაფიელ დანიბეგაშვილმა.

ბოლო პერიოდში მეცნიერთა დიდ ყურადღებას იპყრობს ინდოელთა ერთ-ერთი ტომის გუჯარებისა და ქართველების ნათესაური კავშირი (აღმოსავლეთის ქვეყნებში ქართველებს ხომ გურჯებს უწოდებენ). ეს საკითხი დააყენა ინდოელმა მეცნიერმა ქხატანმა. მისი აზრით უძველეს დროში კავკასიის გურჯები ინდოეთში გადასახლდნენ. მეცნიერთა ყურადღებას იმსახურებს ორივე ხალხის ენისა და ეთნოგრაფიის კავშირები. გერმანელმა მეცნიერმა ჰაინც ფერნიხმა შეადგინა ძველი ინდური ენებისა და ქართულის ლექსიკური ანალოგიები, რომელთა გაცნობაც დიდ ინტერესს იწვევს.

როგორც ვხედავთ დღეს ინდოეთის მთელი რიგი მხარეები ისევე, როგორც საქართველო დიდი იმპერიული გაერთიანებებიდან თავის დაღწევას ცდილობენ და ეს პროცესები, რა თქმა უნდა, სპეციალისტთა დიდ დაინტერესებას იწვევს.

**გურამ სიხარულიძე,**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ პოლიტიკური მიმომხილველი.**



**საგანგებოდ** ნავარჯიშებ ძაღლებს, რომლებსაც ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოჩენა შეუძლიათ, ხშირად ნახავთ კრემლის ყრილობათა სასახლეში.

# ქართული ჯაზი არბატზე

**ესენი** არიან დიმიტრი სალაძე, გიორგი ნაკაიძე, დავით მასტერანოვი. ისინი ჯაზის მუსიკოსები არიან. უკრავენ შესაბამისად საყვირს, ფორტეპიანოსა და გიტარას და კარგადაც უკრავენ. ამაში ახლახან დარწმუნდნენ ჯაზური მუსიკის თაყვანისმცემლები ლონდონსა და ბრისტოლში, სადაც ისინი გამოდიოდნენ „რეროს“ ორკესტრთან ერთად. ხოლო გასტროლებიდან შინ, თბილისში რომ ბრუნდებოდნენ, მოსკოვში ყოფნის დროს ერთი დღით შეჩერდნენ და უფასო კონცერტი გამართეს „მზიურის“ ცენტრში არბატზე. ცენტრის მუშაკებისა და მოსკოვის ქართული სათვისტომოს წევრებისათვის.

მათ პროგრამაში ძირითადად საკუთარი კომპოზიციებია. მაგრამ მუსიკოს-ვირტუოზებმა ორიოდ სამი ნომრით დაარწმუნეს მსმენელები, რომ ჯაზის კლასიკასაც კარგად იცნობენ და მშვენივრად ასრულებენ.

— დიდი ხანია კონცერტისაგან ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. — თქვა კულტურული ცენტრის „მზიურის“ განყოფილების გამგემ კომპოზიტორმა რევაზ ჩირინაშვილმა. — ტრიო ახალგაზრდულია, თვითონ მუსიკოსებიც ჯერ ძალიან ახალგაზრდები არიან, მაგრამ ეს მეტად საინტერესო კოლექტივია აშკარად გამოხატული ინდივიდუალობით. მოხარული ვიქნებით, თუ კიდევ გვეწვევიან. მუსიკოსებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად ეს შემოდგომაზე მოხდება.

# დიდი ბრიტანეთის ეროვნული დღესასწაული

**საქართველოში** პირველად საზეიმოდ აღინიშნა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მეფის, მისი უდიდებულესობის ელისაბედ მეორის დაბადების დღე.

თუმცა ოფიციალურად მეფის დაბადების დღე 21 აპრილია, ინგლისელები ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს ივნისის მეორე შაბათს აღნიშნავენ. ეს ტრადიცია ჯერ კიდევ მეფე ედუარდ მეშვიდის — ბრიტანეთის დღევანდელი მეფის დიდი პაპის მეფობის წლებიდან დამკვიდრდა.

მეფის დაბადების დღე ბრიტანელებისათვის ისეთივე ეროვნული ზეიმია, როგორც, მაგალითად, აშშ-თვის დამოუკიდებლობის დღე — 4 ივლისი, ფრანგებისათვის — ბასტილიის აღების დღე — 14 ივლისი. ჩვენთვის, ქართველებისათვის — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე — 26 მაისი.

ბრიტანელი ხალხის ისტორიაში უდიდესი მოვლენის — შეერთებული სამეფოს ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ საღამოს უმასპინძლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ. საღამო გაიმართა საქართველო-დიდი ბრიტანეთის ასოციაციის ინიციატივით. სიტყვით გამოვიდნენ ასოციაციის თანაპრეზიდენტები აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე და გელა ჩარკვიანი.

საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა მრავალ წელს ითვლის, ითქვა საღამოზე. მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს მეგობრული კონტაქტები დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ შეზღუდული იყო. ამ ორი უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის შორის კავშირის გაფართოებას უთუოდ შეუწყობს ხელს შარშან დაარსებული საქართველო — დიდი ბრიტანეთის ასოციაცია.

საღამოზე თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მეხუთეკლასელებმა ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს ზღაპარი „კონკია“.

ამიერიდან ეს დღესასწაული საქართველოში ტრადიციული გახდება.

**ნინო თათრულაიძე,**

# „კოლუმბიის“ სამედიცინო ექსპერიმენტი

**ამერიკის** მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის“ ეკიპაჟი, რომელიც 41-ე ფრენას ასრულებს „სპეის-შატლის“ პროგრამით, აწყობს დაგეგმილ სამედიცინო ექსპერიმენტებს ორბიტაზე.

ფრენის პირველი დღე-ნახევრის განმავლობაში ასტრონავტები ასრულებდნენ სამუშაოებს „კოლუმბიის“ სატვირთო ნაკვეთურში არსებულ „სპეისლების“ საკვლევ მოდულში. საინტერესოა, რომ პირველი ექსპერიმენტის შედეგები სპეციალისტებმა შეძლეს გაეანალიზებინათ სტარტიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ. ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს კარდიოლოგს ენდრიუ გეფნის ფრენის წინ ჩაუსვეს შიდავენური კათეტერი, რომელსაც აქვს სპეციალური გადამწოდები. ცხრა საათის შემდეგ მოწყობილობა მოხსნეს და მედიკოსებმა დაიწყეს სტარტის და მაღლა ასვლის დროს სისხლის წნევასა და ძარღვებში გამავალი სისხლის მოცულობათა შეცვლაზე გადატვირთვების ზემოქმედების შედეგების შესწავლა.

# სომხეთის საერთო-ეროვნული მოძრაობის მიმართვა

**სომხეთის** საერთო-ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო მიმართვა, რომელშიც მხარს უჭერს „დემოკრატიული რუსეთის მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიას და მოუწოდებს რუსეთის სფსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა სომეხს ხმა მისცენ რუსეთის სფსრ პრეზიდენტის პოსტის კანდიდატს ბორის ელცინს.

სომხეთის საერთო-ეროვნულ მოძრაობას მიაჩნია, რომ მეთი არჩევანი ხელს შეუწყობს დემოკრატიული ძალების განმტკიცებასა და ურთიერთმოქმედებას, ჯანსაღი საწყისისა და პროგრესის გამარჯვებას როგორც რუსეთში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

არმენპრეს-საქინფორმი.

## საკუთარ სახლში

# თამარ გომართელის შემოქმედებითი საღამო

[illegible]



[illegible]

სხვათა და სხვათა გამოსვლებმა.

[illegible]



# კულტურის ძეგლები ერის პასპორტია

[illegible]

# აფხაზეთის ახალი ამბები

[illegible]

...ლებმა შეიტანეს ბაზარში საადრეო კიტრი. თავიანთ ფარდულში მათ უკვე გაყიდეს 8 ტონაზე მეტი კიტრი. მალე დამწიფდება პამიდორი და მწვანე წიწაკა. ახალსოფლელი მიწათმოქმედნი [illegible]

### „ოქროს" თევზი დაიჭირეს

**მაინც** დაიჭირეს ოქროს თევზი კურორტ გაგრის იმ მცირე თევზსაჭერის საწარმოს ფხიანმა [illegible] ამ მოთხილებული ახალი ჯიშით, რომელიც ახლა თქაფუნობს ოჩხებში.

მასალები მოამზადა
**თენგიზ ჯიბუტმა,**
**საქინფორმის კორ.**

## სპორტი

# რეგბიში შარშანდელი მარცხისათვის

[illegible]

...გატანილი ბურთის შემდეგ იგებდნენ, მაგრამ „ცხუმმა" შემართებით ჩაატარა დარჩენილი 45 წუთი და ოთხი გოლის გატანაც შესძლო. თვი გამოიჩინეს ჯიშკარიანმა, გოგრიჭიანმა, მალანიამ და გოგიაშვილმა.

5:2 — ამ ანგარიშით მოიგო შეხვედრა ლანჩხუთის „გურიამ". ამჯერად მან უმაღლესი ჯგუფის აუტსაიდერს ხაშურის „იმერიას" სძლია. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს კორალიძემ — 3, ფრიდონაშვილმა და უგრეხელიძემ, „იმერიისაგან" ჭყოიძემ და კისელიოვმა.

...[illegible] მარჯვების მისაღწევად და ყველანაირი იმედი გადაუწურეს მეტოქეს. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი მიმდინარე ჩემპიონატში მეორედ დაფიქსირდა.

ტურის სხვა შეხვედრები „მარგვეთი" (ზესტაფონი) „ამირანი" (ოჩამჩირე) — 4:2, „გორდა" (რუსთავი) — „სამგურალი" (წყალტუბო) — 5:0, „ქუთაისი" (ქუთაისი) — „მზიური (გალი) — 3:1, „კოლხეთი"-1913 (ფოთი) — „სანავარდო" (სამტრედია) — 1:1.

შემდეგი ტური უმაღლეს ჯგუფში 14 ივნისს გაიმართება.

# სრულიად საქართველოს სპორტული ასპარეზობანი გაიმართება!

**წელს** ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულებს სასიამოვნო მღელვარება ელით: გაიმართება სრულიად საქართველოს პირველი სპორტული ასპარეზობანი. ამის შესახებ დადგენილება მიიღო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც მოიწონა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის შესაბამისი ინიციატივა.

ამ კომპლექსურ მასობრივ ასპარეზობათა მიზანია გამოვლინდეს საქართველოს სპორტსმენთა პოტენციური შესაძლებლობანი, გაიზარდოს სპორტული რეზერვების ოსტატობა და დაკომპლექტდეს ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდები ოლიმპიურ ასპარეზობებში დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის, რესპუბლიკის მოსახლეობას შორის ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდა და დანერგვა.

მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია სრულიად საქართველოს სპორტულ ასპარეზობათა მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა. ამ კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ომანიძე, მისი მოადგილეები არიან საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი კ. ასათიანი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ნ. გაფრინდაშვილი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი ვ. კაპარავა.

სრულიად საქართველოს სპორტულ ასპარეზობათა დებულება უნდა დაამტკიცონ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის დეპარტამენტმა.

სრულიად საქართველოს სპორტულ ასპარეზობათა საორგანიზაციო კომიტეტს მიეცა უფლება, დადგენილი წესის შესაბამისად, მოაწყოს სპორტული ლატარია.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებს, მეურნეობებისა და ორგანიზაციების, კოოპერატივების, ფირმებისა და ასოციაციების შრომით კოლექტივებს წინადადება მიეცათ სპონსორული მხარდაჭერა გაუწიონ სრულიად საქართველოს სპორტულ ასპარეზობათა ორგანიზატორებს.

საქინფორმი

## იდეა

# სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანებისთვის

**ერის** კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად ის ითვლება, თუ როგორ ექცევიან ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ადამიანებს მასზე ახალგაზრდა ერის შვილები.

საქართველო ოდითგანვე იყო ცნობილი ხანდაზმული ადამიანებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით. ხანშიშესული (60–74 წ.), მოხუცი (75–89 წ.) და უხუცესი (90 და მეტი წლის) ადამიანები ქართულ ოჯახში თითქმის ყოველთვის რჩებიან ოჯახის უფროსებად ან საპატიო უფროსებად. ისიც ცნობილია, რომ აჭარაში, აფხაზეთში, სვანეთში და სხვა რეგიონებში ახლაც უხუცესთა საკრებულოები დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ამ რეგიონების როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თუ რელიგიური პრობლემების გადაწყვეტაში.

დღევანდელი საქართველოს ცხოვრება უდიდესი პოზიტიური ძვრებით ხასიათდება. ერმა აირჩია მისთვის სასურველი პარლამენტი. მას ჰყავს ღირსეული პრეზიდენტი, ვფიქრობთ, რომ ბოლო ეღება მოჩვენებით და პომპეზურ საქმიანობას. და, მიუხედავად იმისა, რომ ახლა საქართველოს უამრავი საზრუნავი აწუხებს, ჩემი ღრმა რწმენით, იგი ვერასგზით დაივიწყებს და ვერც შემდგომ მოსაგვარებლად გადასდებს ერისათვის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიცაა ხანშიშესულ და მოხუცებულ ადამიანებზე ზრუნვა, კერძოდ, გერიატრიული მომსახურების შექმნა და სრულყოფა.

გერიატრია მედიცინის ის დარგია, რომლის მიზანია ხნოვანი ასაკის ადამიანებში მათი ფიზიოლოგიური სისტემების ასაკობრივი ნორმატივების დადგენა, ხანშიშესულებში დაავადების გამომწვევი მიზეზების და განვითარების, პრეკლინიკური და კლინიკური, დიაგნოსტიკური და მკურნალობის პროგნოზისა და გავრცელების თავისებურებების შესწავლა და შემდგომ კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვა, აგრეთვე მოხუცთა დაავადებების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენა და პროფილაქტიკა, ამ ფაქტორებისა და ამ დაავადების გავრცელების ხარისხის დადგენა, ნაადრევი დაბერების ნიშნების გამოვლენა და მკურნალობა.

ცივილიზებული ქვეყნებიდან ალბათ, მხოლოდ საქართველოში არსებობს ასეთი მაღალმორალური, ჰუმანური ფენომენი: საზოგადოება გმობს იმათ, ვისაც ხნოვანი მშობლები მოხუცთა სახლში საცხოვრებლად გადაჰყავს. და მართლაც, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა დიდ ფსიქიკურ ტრავმას აყენებს მოხუც მშობლებს ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და ცხოვრების ჩვეულ წესთან განშორება. ეს ტრავმა აჩქარებს სიბერის პროცესს და მნიშვნელოვნად აუარესებს ჯანმრთელობას.

მაგრამ რაგინდ ბედნიერნი არ უნდა იყვნენ ხნოვანი მშობლები თავიანთ ოჯახში, ეს ვერ იხსნის მათ სხვადასხვა დაავადებებისაგან. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ხანდაზმულ ადამიანებს ემსახურება გერიატრიული სამსახური გერიატრიული საავადმყოფოების და მათში მომუშავე ექიმი გერიატრების სახით.

ამ წერილის ავტორმა წლების განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა წინადადებით ჩვენი ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს, აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს და თვით ქალაქის პარტიული კომიტეტის პირველ მდივანს, რათა ქალაქში შექმნილიყო გერიატრიული სამკურნალო. ამასთან თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გერიატრიული განყოფილება ვალდებულებას იღებდა უსასყიდლოდ გაეწია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ხნოვანი პაციენტებისათვის განყოფილებაში არსებული თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურის გამოყენებით. მაგრამ ამაოდ, — ჩვენი მიმართვა უშედეგოდ რჩებოდა.

საქართველოში მხოლოდ ერთადერთი სამსართულიანი მოხუცთა პანსიონატია (მუდმივად მაცხოვრებელ მოხუცთა სახლი), რომელიც ამ პროფილის დაწესებულებებისადმი წარდგენილ თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ეს 73 ადგილიანი დაწესებულება (თითოეული მოხუცისათვის განკუთვნილი თითო ოთახით) მდებარეობს თბილისის ზღვის ახლოს. იგი რამდენიმე წლის წინ გაიხსნა მხოლოდ პერსონალური პენსიონერებისათვის. ახლა იგი გადაკეთდა მოხუცთა და ინვალიდთა სახლად (რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობს ქალბატონი მერი გოგოლი). მას აქვს დიდი ჰოლები და დარბაზები, უამრავი უსარგებლო ფართობი (რომელიც შეიძლება მრავალ პალატად გაიტიხროს); მის გარშემო ხუთ ჰექტარზე გაშლილია გამწვანებული, ხეხილიანი ეზო. ჩვენი აზრით, აღნიშნულ შენობაში შეიძლება მოთავსდეს განცალკევებული, თავდაპირველად ორმოცდაათ ადგილიანი გერიატრიული პროფილის თერაპიული სტაციონარიც. აღნიშნულ ტერიტორიაზე კი აუცილებელია აშენდეს ორას ადგილიანი ფასიანი გერიატრიული პანსიონატი სამკურნალო კორპუსით (ეჭვს არ იწვევს, რომ ამ კეთილშობილურ საქმეს გამოუჩნდებიან სპონსორები, რომლებიც არ დააგვიანებენ მის აშენებას), ოცდაიანი დასვენებისა და მკურნალობის ვადით. ამ პანსიონატის პირველ სართულზე განლაგდება გერიატრიული პოლიკლინიკაც. სამკურნალო-პროფილაქტიკურ გერიატრიულ კომპლექსს კლინიკურ და მეცნიერულ მომსახურეობას არ დააკლებენ ის სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებსაც მრავალი წლის გამოცდილება აქვთ აღნიშნული პროფილის კლინიკურ და მეცნიერულ მუშაობაში.

ამრიგად, თბილისის ზღვასთან, საუცხოო ტერიტორიაზე მდებარე სახლი, რომელიც მხოლოდ მარტოხელა მოხუცთათვის არის განკუთვნილი, უნდა გადაკეთდეს მრავალპროფილიან გერიატრიულ დაწესებულებად, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდებიან ურთიერთდაკავშირებული შემდეგი ერთეულები: 1. გერიატრიული თერაპიული სტაციონარი; 2. გერიატრიული პოლიკლინიკა; 3. მუდმივად მაცხოვრებელ მარტოხელა მოხუცთა სახლი; 4. გერიატრიული ფასიანი პანსიონატი სამკურნალო კორპუსით; 5. კლინიკური და მეცნიერული სექტორი, რომელშიც გერიატრი სპეციალისტები აწარმოებენ მეცნიერულ გერიატრიულ კვლევას და მკურნალობას.

რამდენადაც ვიცით, ასეთი მრავალპროფილიანი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული გერიატრიული კომპლექსი ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. რა კარგი იქნებოდა, რომ ასეთი კეთილშობილური საქმის თაოსანი ჩვენი თავისუფალი საქართველო ყოფილიყო! განა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ჩვენი მოხუცი მარტოხელა მამულიშვილები არ იმსახურებენ სწორედ ასეთ კომპლექსურ სამკურნალო მომსახურებას? თბილისის ულამაზეს ფერდობზე განლაგებული ეს კომპლექსი, რომლის სახელწოდება, ალბათ, იქნება ხანშიშესულთა სამედიცინო დასახლება, ქალაქის დამამშვენებელ არქიტექტორულ მასივად იქცევა.

**ზურაბ დუმბაძე,**
**თერაპიის ინსტიტუტის გერიატრიული განყოფილების ხელმძღვანელი.**

**ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.**

## სიტყვა—ყველას

# ანტისაოკუპაციო მოძრაობა

### პირველი ნაბიჯები

**მას** შემდეგ, რაც შეიქმნა ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრი და გამოქვეყნდა დეკლარაცია ამ მოძრაობისა, გავიდა ერთ კვირაზე ცოტა მეტი დრო. ამ მოკლე დროის მონაკვეთში ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის ინიციატივით საქართველოს დედაქალაქში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ და მოხდა გასვლები დუშეთის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში. ამ გასვლების მიზანია რაიონებში ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი კომიტეტების შექმნა, რათა ანტისაოკუპაციო მოძრაობამ სრულიად საქართველოს მასშტაბით საყოველთაო ხასიათი მიიღოს.

ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის წარმომადგენლები ირაკლი წერეთელი, თემურ ქორქოლიანი და გურამ გოგბაიძე აღნიშნული რაიონების წარმომადგენლებს ესაუბრნენ ანტისაოკუპაციო მოძრაობის ისტორიული მისიისა და დანიშნულების გარშემო და შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ანტისაოკუპაციო მოძრაობის მსოფლმხედველობრივ-პოლიტიკური პრინციპები, ბრძოლის გზები და ორგანიზაციული სტრუქტურები.

დუშეთის, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონების ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაევალათ აღნიშნულ რაიონებში ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ჯგუფების შექმნა.

• • •

### საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის განცხადება

**1991 წლის 28 ივნისს, პარასკევს, საქართველოს დედაქალაქში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრის ხელმძღვანელობით ეწყობა საპროტესტო დემონსტრაცია საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით. მანიფესტაცია დაიწყება 17 საათზე, კინოს სახლის წინ, შოთა რუსთაველის მოედანზე.**

**სრულიად საქართველოს, ყველა ქართველს მოგიწოდებთ მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ ანტიმოსკოვურ და ანტიიმპერიულ მანიფესტაციაში.**

• • •

### ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ პატრიკეევს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გენერალიტეტს!

**ბატონო** გენერალო!

ღრმად პატივცემულო გენერლებო და ოკუპანტებო!

საქართველოს ანტისაოკუპაციო მოძრაობის საინიციატივო ცენტრი 1991 წლის 28 ივნისს, პარასკევს გეგმავს საპროტესტო პოლიტიკურ დემონსტრაციას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ. ჩვენი მიზანია საქართველოს განთავისუფლება, რაც უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს საქართველოს სრულ და უპირობო დეოკუპაციას; ამიტომაც მოვუწოდებდით და მოვუწოდებთ ჩვენ ყოველთვის ქართველ ერს შეურიგებელი და უკომპრომისო ბრძოლებისაკენ, კრემლის იმპერიისა და მისი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მაგრამ ამასთანავე, ბატონო ოკუპანტებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის ემყარება მშვიდობიანი და არაშეიარაღებული წინააღმდეგობის სტრატეგიას, მისი ნათელი მაგალითია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ უშუალოდ ჩვენ მიერ სამგზის ჩატარებული მრავალათასიანი აქცია.

1991 წლის 28 ივნისს, პარასკევს, ჩვენ ისევ მოვალთ შტაბთან და ჩვენ ყოველთვის ვივლით, ვიდრე საქართველო სრულიად არ განთავისუფლდება საბჭოთა დამპყრობლის საოკუპაციო ჯარებისაგან. მაგრამ ჩვენი მხრიდან, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც გამორიცხული იქნება შეიარაღებული პროვოკაცია. ჩვენი პროტესტი იქნება მხოლოდ სიტყვაში განცხადებული სიმართლე. ამიტომ წინასწარ გაფრთხილებთ, მაქსიმალური სიფხიზლე გამოიჩინოთ, რათა სამხედროების მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს პროვოკაციებსა და გაუთვალისწინებელ ექსცესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ. ჩვენი მხრიდან ძალადობა გამორიცხულია, ხოლო თავისუფლებისათვის ბრძოლაზე უარს ვერ ვიტყვით.

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ანტისაოკუპაციო მოძრაობის სახელით**

**ირაკლი წერეთელი.**

## გამოსათხოვარი

# თემურ ბოლქვაძე



კიდევ ერთი ქართველი ახალგაზრდა გამოაკლდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიას — ტრაგიკულად დაიღუპა **თემურ შოთას ძე ბოლქვაძე**, რომლის უშუალო მონაწილეობით ოზურგეთში საფუძველი ჩაეყარა შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რეგიონალურ დანაყოფთა ჩამოყალიბებას.

თემურ შოთას ძე ბოლქვაძე დაიბადა 1956 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალში. 1973 წელს დაამთავრა ოზურგეთის პირველი საშუალო სკოლა და 1974 წელს გახდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი, რომლის სრული კურსი 1980 წელს დაამთავრა.

197[illegible] წელს თ. ბოლქვაძემ სამუშაოთა მწარმოებლად დაიწყო მუშაობა ოზურგეთის სარემონტო-სამშენებლო უბანში, შემდეგ იყო რაიონის საყოფაცხოვრებო ხამმართველოს საამქროს უფროსი, ოზურგეთის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების სპეციალისტი.

1987 წელს თ. ბოლქვაძე მრავალდარგოვანი კოოპერატივის „განთიადის" თავმჯდომარეა და ამასთანავე აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა. მისი თაოსნობით და ფულადი დახმარებით აღდგა და რესტავრაცია გაუკეთდა შემოქმედის ღვთისმშობლის ეკლესიას, გარემონტდა პირველი საშუალო სკოლა, ფულადი დახმარება გაეწია ოზურგეთის უპატრონო ბავშვთა სახლს, სომხეთის მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებს. კოოპერატივმა „განთიადმა" თ. ბოლქვაძის თაოსნობით ჩაის მიკროფაბრიკა ააგო სოფელ თხინვალში.

უდროოდ წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა, რომელიც მთელი თავისი ცხოვრებით ერთგულებად იყო დაკავშირებული ეროვნულ მოძრაობასთან და ყველაფერს ღონობდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და გაღრმავებისათვის. მისი ტრაგიკული სიკვდილიც ამ ერთგულების დიდი დასტურია.

თემურ ბოლქვაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი თანამებრძოლების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

**თ. კიტოვანი,**
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66484

საქართველოს რესპუბლიკა